საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 15 ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ... ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, ... სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ... 60 მანეთი. ნაწილ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ... და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 261 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 261

თავზარდაცემული და გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფი მეუღლე მარიამი გიორგის ასული, სიდედრი ბარბარე ბექანის ასული, ცოლის ძმები: ალექსანდრე (საშა), კონსტანტინე და ცოლის და ნინა ყორანაშვილი, ნათლიმამა ვიქტორ კვიჟინაძე მეუღლე ლიზათი, ბიძაშვილი ალექსი ჩალაძე და მისი მეუღლე ევა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თავის ანთებით გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

## იორდანე ეგნატეს ძე ჩალაძე

პანაშვიდი შაბათს 15 ნოემბერს საღამოს 5 ს. გამოსვენება კვირას 16 ნოემბერს დილის 10 ს., დუშეთის ქუჩა, ანანურის შესახვევი სახლი № 6, წაასვენებენ ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2997 3—2)

---

ელისაბედ გრიგოლის ასული ქურული, ნინა მიხეილის ასული მაჭავარიანი, მარიამ ალექსანდრეს ასული ელიავა, ვიქტორ ალექსანდრეს ძე ქურული აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი პირველის ქმარი, მეორის ძმა და მამა უკანასკნელების

## ალექსანდრე მიხაილის ძე ქურული

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5½ საათზე, გამოსვენება შაბათს 15 ნოემბერს, დილის 10 ს. ელისაბედის ქ. № 72. მიასვენებენ კუკიის წმინდა ნინოს საყდარში. (2994—2—2)

---

ნოე, ანეტა და მიტია ხომერიკები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ კვირას, 16 ნოემბერს, წმ. ნინოს სასაფლაოზე დღის 12 ნახევ. საათ. მიცვალებულის საფლავზე გადახდილ იქნება ორი წლის პანაშვიდი, მათთვის ძვირფასი, პირველი ორის შვილის და მესამის ძმის

## ალეკოს

სულის მოსახსენებლად. (3—2)

---

დამწუხრებულნი შვილები: გარსევან, გიორგი, მიხეილ, სიმონი და ირაკლი, რძლები: გოგუცა, ელიჩკა და დარიკო, შვილის შვილები თამარა, ლუბა, ნინა, ქეთევანა, ჯუჟუ და გიგოლა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 12 ნოემბერს დილის 10 საათზე სამუდამოდ გამოესალმა საყვარელ ოჯახს დაუვიწყარი

## იოსებ მიქელის ძე ჩიგოგიძე

რომლის დაკრძალვა და გამოთხოვება მოხდება შაბათს, 15 ნოემბერს დილის 9 საათზე სოფელ საჭილაოში (მარნის საზოგადოება) წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში. (ფ. 2—1)

---

სახელმწიფოს კულტურულ ტექნიკური სასწავლებლის გიდრო-ტექნიკური განყოფილების მოწაფეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ სასწ. ამხანაგებს ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის

## ვლადიმერ ისააკის ძე ჭავჭავაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 16 ნოემბერს დილის 10 საათზე ნაძალადევის ქართ. ეკლესიაში (მაგისტრალის ქ. № 37, საკ. სახლი მე-11 უბანი) (3001—2—1)

---

კვირას, 16 ნოემბერს (ახ. სტ.) სოფ. ნოსირის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ქალ. ბაქოში უდროოდ გარდაცვლილის

## იონა (ვანო) პავლეს ძე კილასონიას

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გულდათუთქული მშობლები: მატრონა გუძულას ასული და პავლე გვატის ძე, ძმები: ლაზარე მეუღლით და შვილებით, სიმონი მეუღლით და შვილებით, ანდრო მეუღლით, პლატონი და მიხეილი (მიშა) პავლეს ძენი კილასონიები. დაი ოლია (ედუკი) პავლეს ასული კილასონია-წოწერიასი და სიძე ერმილე ალექსის ძე წოწერია. (3005 1—1)

---

ლიდია იულიანეს ასული და გიორგი ევსევის ძე ცინცაძეები ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის

## არჩილის (აჩიკო)

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი მიცვალებულის საფლავზე კვირას, 16 ნოემბერ დღის 12 ნახ. საათზე კუკიის სასაფლაოზე. (3004 2—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი ისააკ ზაქარიას ძე, რიფსიმე იოსების ასული, მარიამ. ილიკო, ანნა, შაქრო და ნინო ჭავჭავაძეები აუწყებენ ნაცნობს და ნათესავებს, რომ სამშაბათს, საღამოს 9 ს. მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის და მეორის ძვირფასი შვილი, ხოლო დანარჩენებისათვის კი ძვირფასი ძმა

## ვლადიმერ ისააკის ძე ჭავჭავაძე

გამოსვენება მოხდება კვირას, 16 გიორგობისთვეს, დილის 10 საათ. საკუთარ ბინიდან—ნაძალადევი, მაგისტრალური ქუჩა № 37,—ნაძალადევის სამების ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა, დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (3007 2—1)

---

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა ანნა დიმიტრის ასული, დები მარგარიტა, ნინა, ეთერა და სიძე ნიკოლოოზ ყველაშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი სტუდენტი

## შალვა ესტატეს ძე ანანიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი შაბათს 15 ნოემბერს საღამოს 6 საათზე. გამოსვენება კვირას, 16 ნოემბერს, დილის 10 საათ. ჩერქეზოვის ქუჩა სახლი № 47, წაასვენებენ ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3010—2—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბარბარე, ძმები: დავით ტაბატაძე და პეტრე ჩაჩანიძე, დედა მარიამი, რძალი ევა, დები: ნატალია და თინათინ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 15 ნოემბერს დილის 10 ს. მოხდება მათთვის ძვირფასი

## ალექსანდრე იაგორის ძე ჩაჩანიძის

დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3002 1—1)

---

დღეს, ექადიის წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი გარეწართა მიერ ვერაგულად მოკლულის

## გლახუნ სპირიდონის ძე წულაძის

რასაც აცნობებენ ოჯახის მეგობრებს და პატივისმცემელთ განსვენებულის გაუბედურებული მეუღლე ოლღა, ვაჟი მოსე, ასულნი: მარო და ლოლიჩკა, რძალი ნადეჟდა და სიძე კოლია ბოლქვაძე. (ნ. 1—1)

---

## ყველა პარტიულ ორგანიზაციებს!

საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა დაამზადა და აძლევს ფასით პარტიულ ორგანიზაციებს შემდეგ საჭირო საგნებს: პარტიულ წიგნაკებს,—საქართველოს პირველ დამფუძნებელი პარტიულ ყრილობის გამომუშავებულ წესდებას. სარეგისტრაციო წიგნებს, უწყებებს პარტიულ მუშაობის მდგომარეობის და თანხის ტრიალისას, ოქვებს, საწევრო მარკებს, შემოსავალ და გასავლის ორდერებს, ერთდროულ გადასახადების წიგნაკებს, კვიტანციებს და სხვა. მისამართი: თფილისი, რუსთაველის პრ. № 24. კომიტეტის მდივანთან. (უფ. 7—4)

---

15 აგვისტოს ოჩემჩირეში მოვაჭრე

## ისიდორე ზამთარაძე

წავიდა ბათუმში სავაჭრო საქმეებისთვის. შემდეგ არ დაბრუნებულა. არ ვიცით სად იმყოფება. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ სად წავიდა და შემთხვევით ნახა სადმე, ვთხოვთ აცნობოს ოჩემჩირეში ქალაქის გამგეობას. (2988—5—2)

---

ს. ს. დ. მ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტი

ამით აუწყებს მაზრის ყველა საზოგადოებათა ს. დ. ორგანიზაციებს, რომ 20 ნოემბერს, ქ. სენაკში მოწვეულია

## სამაზრო პარტიული ყრილობა

დღიური წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი; 2) მოხსენება სამ. კომიტეტის მუშაობის შესახებ; 3) მოხსენება ადგილებიდან; 4) მოხსენება სხვადასხვა დაწესებულებებში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებისა; 5) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 6) ორგანიზაციული კითხვები; 7) პარტიის გაწმენდა; 8) მიმდინარე კითხვები; 9) კომიტეტისა და სარ. კომისიის არჩევნები.

(უფ 3—1) ს. ს. დ. მ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტი.

---

## სახელმწიფო თეატრი

კვირას, 16 ნოემბერს, 1919 წელს, გაიმართება

## დილა

შემდეგი განყოფილებით:

I

წაკითხულ იქნება ლექციები:

გრ. ლორთქიფანიძე.

**სოციალური რევოლიუცია და რუსული კომუნიზმი**

პროფესორი ს. ავალიანი რუსულ ენაზე

**Экономическая политика совѣтской Россій и ея слѣдствія**

II

**საკონცერტო განყოფილება**

მონაწილეობენ: ი. სარაჯიშვილი, ინაშვილი და აგასოვა-კალანდაძე.

დასაწყისი 12 საათზე.

III

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ქალის 1001 ცბიერება**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ელ. ანდრონიკაშვილი, ბ-ნნი შ. დადიანი, ჯიქია და ფრანგიშვილი.

რეჟისორი შ. დადიანი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—2)

---

ქართველ **მომღერლების** საყურადღებოთ

ალტი, ტენორი, ბანი

საჭიროა

## კაპელასათვის

მისამართი: სლეპცოვის ქ. № 4. ქ. სამუსიკო სკოლა. საღ. 5—7 საათ. (ნ. 1—1)

---

## ჯარში გაწვევა

დღეს მთელ რესპუბლიკაში იწყება ახალგაზრდათა ჯარში გაწვევა. სამხედრო ბეგარის მოსახდათ იწვევენ 1899 წელში დაბადებულთ. რა საშინელი და გულშემზარავი იყო ძველი წყობილების დროს, „სალდათობის“ ხანა. შემოდგომაზე სალდათობის მოახლოების დროს სოფელი გლოვის გრძნობებით იყო მოცული. და მართლაც, განა არ იყო სამგლოვიარო და სატირალი მაშინდელი მდგომარეობა, იმ დროინდელი სალდათობა? სამგლოვიარო და სავალალო იყო არა მარტო თვით სასალდათოსა ან მისი მშობლებისათვის, არამედ მთელი ერისთვის. მშრომელ ხალხს საუკეთესო შვილებს სტაცებდა ულმობელი თვითმპყრობელობა და მათ მიერეკებოდა ცივ ქვეყნებისაკენ. სხვაფრივ არც შეიძლებოდა: თვითმპყობელობას ჯარი ესაჭიროებოდა არა მარტო გარეშე მტერთან საომრათ, არამედ საკუთარი ხალხის დასამორჩილებლათა და დასამონავებლათ—„მას ჯარი ნებავს შენ სისხლ სალვრელათ, მიეცი მტარვალს შენი შვილები“—აი ასეთი იყო აზრი იმ პოლიტიკისა, რომელიც თბილ და ნაზ საქართველოს შვილებს ცივსა და სუსხიან ჩრდილოეთში აგზავნიდა, ხოლო ჩრდილოელებს სამხრეთისაკენ მოერეკებოდა. ეს იმისთვის, რომ ადგილობრივი ხალხიდან გამოსული ჯარი ისე ადვილათ არ დაეტაკება თავის მშობელ ხალხს. ხოლო მეფის მთავრობა და ხალხი, ხომ ეს ორი მუდამ დატაკებული ბანაკი იყო.

მაშინდელი სალდათობა, ეს ნამდვილი „გაციმბირება“ იყო 4 და მეტი წლით. ერის საუკეთესო ნაწილი, მოხუცი დედმამის მარჩენელნი, უნდა გადაკარგულყვნენ ცხრა მთას გადაღმა შორეულ ქვეყნებში. უამრავი ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდა იმსხვერპლა ცივმა და ყინულიანმა ქვეყნებმა. რამდენი დაავადებული და დაავათმყოფებული ჭაბუკი დაუბრუნდა ქართველ ხალხს. ძველებური სალდათობა სპობდა და ასახიჩრებდა ერს ფიზიკურათ, ამახინჯებდა ამასთანავე ზნეობრივათ და პოლიტიკურათ. მთელი ოთხი წლის განმავლობაში მეფის მთავრობა იმის ცდაში იყო, რომ ჯარისკაცისთვის წაერთვა ყველაფერი ის მაღალი და კეთილშობილური გრძნობა, რაც ნამდვილ მოქალაქისა და ჭეშმარიტ ადამიანის სამკაულს შეადგენს. და რა გასაკვირველია, რომ ძველ „სალდათობას“ დარდობდა თვით სასალდათო, სტიროდა დედა, ოხრავდა მამა, მოსთქვამდა და გლოვობდა მთელი ერი, გმინავდა მთელი მშრომელი ხალხი, ვინაიდან ეს მძიმე ტვირთი კისერზე აწვა მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთ. მისდა მიუხედავათ, რომ საყოველთაო სამხედრო ბეგარა იყო კანონით დაწესებული, შეძლებულნი ყოველთვის აჭახრაკებდენ საქმეს და ქრთამით ამ ჯოჯოხეთსაც ილოლებდენ თავიდან.

სულ სხვაა დღეს, როდესაც დემოკრატია იწვევს თავის შვილთ. თვით ხალხის მშვიდობის, ბედნიერებისა და დოვლათის დასაცავათ და არა ხალხის დასამონავებლათ. ჯარი უმთავრესი იარაღია სახელმწიფოს ხელში, ხოლო ჩვენი სახელმწიფო თვით ხალხისაა, და, რასაკვირველია, ჩვენ ჯარს ვერავინ გამოიყენებს ხალხის საწინაალმდეგოთ. დღეს ჩვენი ჯარისკაცი იმსახურებს არა ოთხი და ხუთი წელი, არამედ მხოლოდ წელიწადზე ცოტა მეტს. დღევანდელი ჯარისკაცისთვის ყაზარმა საპყრობილე კი არაა, როგორც ეს წინათ იყო, ის არის და იქნება მისთვის მოქალაქობის სკოლა. ჯარისკაცობა დღეს სახალხო გლოვა აღარაა. ის საერო დღესასწაულათ უნდა გადაიქცეს. ამ დღეებში ხალხი აძლევს თავის სახელმწიფოს თავის შვილებს. ის იხდის მოქალაქის უმაღლეს და უწმინდეს მოვალეობას. მართალია, მოღალატეებმა ყველაფერი იღონეს, რომ რესპ. სხვა საქმეთა შორის რეკრუტის საქმეც ჩაეფუშათ, მაგრამ მათი ცდა უნაყოფო გამოდგა, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჯარში გაწვევა მწყობრათ ჩაივლის. მთავრობის ყველა ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ არც ერთი ჯარში გასაწვევი ახალგაზრდა არ გაექცეს თავის მოვალეობას. დემოკრატიას შეიარაღებული ძალა სჭირია, ის უბრძანებს თავის შვილებს მოვალეობის ასრულებას. და ისინიც ბრძანებას აასრულებენ.

## პრესა

„ობნოვლენიას“ ხანდახან გონება უნათლდება და მისაღები აზრი წამოცდება. გუშინდელ ნომერში ის სწერს:

„რომ ანარქიასთან ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდეს, საჭიროა გაერთიანდეს მთელი ხალხი განურჩევლათ ეროვნებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა. მხოლოდ ასეთი მჭიდრო კავშირით იქნება შესაძლებელი უმტკივნელათ გადაიტანოს სახელმწიფომ ის არევ დარევა, რომელიც ხელოვნურად შექმნილია სახელმწიფოს მრავალი მტრების მიერ“.

რომ „ობნოვლენიას“ მუდამ ახსოვდეს ეს ჭეშმარიტება და არა მხოლოდ გაჭირვების წუთებში, არამედ ამ გასაჭირის დაწყებამდისაც, მაშინ შეიძლება თვით „არევ დარევასაც“ ნაკლები ადგილი ექნეს.

„საქართველოს სუვერენული უფლების დაცვაში—განაგრძობს გაზეთი—დაინტერესებული უნდა იყოს მოქალაქეთა ყველა კლასები. შეამბოხენს წინაამღდეგობას უწევს არა მხოლოდ გაბატონებული სოციალ-დემოკრატია, არამედ ის ჯგუფებიც, რომლებიც ჩვეულებრივათ ამ პარტიას და სახელმწიფოს მართველობის ორგანოებს ოპოზიციაში უდგას“.

ნეტავი გრძნობს თუ არა „ობნოვლენიე“ და სხვა ჯურის ოპოზიციონერები, რომ ის, რასაც დღეს მკის ანარქია, რამდენიმეთ ამ უმზგავსო ოპოზიციის ნათესია. სახელმწიფოებრივმა ოპოზიციამ უნდა იცოდეს ზომა და საზღვარი, რათა მან მთავრობის მაგიერ სახელმწიფოს არ შემოკრას. ჩვენი ოპოზიციის ტლანქი და უხეში ტაქტიკა ხშირათ „ნაბან წყალს ასხამდა და თან ბავშვსაც ატანდა“, როგორც რუსები იტყვიან; გვინდა იმედი გვქონდეს, რომ ამიერიდან მეტ სახელმწიფოებრივ აზრსა და დარბაისლობას გამოიჩენს ჩვენი ოპოზიცია.

## მკითხველის წერილები

IV.

**პიროვნების ხელუხლებლობისათვის.**

სოციალ დემოკრატიულ პარტიის პროგრამაში, სახელდობრ ეგრეთ წოდებულ მინიმუმ პროგრამაში, პიროვნების ხელუხლებლობას მეტათ საპატიო ადგილი უჭირავს. პიროვნების ხელუხლებლობა ფართოთ გაგებული გულისხმობს თავისუფლებას პრესის, ესე იგი მოქალაქის უფლებას თავისუფლათ გამოსთქვას თავისი აზრები ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, თავისუფლებას კრების და ზეპირ სიტყვის, ხელუხლებლობას ბინის, მისვლა მოსვლის და სხვ.

ყველა თავისუფალ ქვეყნებშიაც, როგორიცაა მაგალითათ შვეიცარია და ინგლისი, განხორციელებულია პიროვნების ხელუხლებლობა. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ ქვეყნებში თავისუფლათ და დაუსჯელათ შეიძლებოდეს აღნიშნულ ხელუხლებლობით ბოროტათ სარგებლობა. შეუზღუდავი თავისუფლება მხოლოდ ანარქისტულ ოცნების სამყაროშია შესაძლებელი. მაგრამ ყოველ დემოკრატიულ ქვეყანაში უზრუნველყოფილია [illegible] ... მთავრობის მოხელეთა თ... ...ანთა ...ბისა და უსამართლო და უ... ...ხდა ჰი... წუხებისაგან. ამისთვის ნა... წერეთ... კანონში აღნიშნული „თუ რ... ...ის შესახე... მედებისთვის შეიძლება მოქ... საქმე გა... ჯა და სასტიკათ არის და... ...რთლოს. რომლითაც მოქალაქე უ... ...გინიძე. ჯოს: ეს არის სასამართლო წესის გარეშე არავის არ შესდგა მოქალაქის პასუხისგებაში მი... ...ს ...როტ მოქმედებაში შენიშნულ... შემ... ადმინისტრაციის მიერ დატუსა... ...მიტე... მოქალაქე დაუყოვნებლივ უნ... ...ქტი... რუდგინონ მოსამართლეს, რომ... ...ომის საჩქაროთ უნდა გაარჩიოს კითხვა ... პატიმრად ყოფნის ან განთავისუფლე... ბისა. სასტიკად არის აგრეთვე დაცული თვით სასამართლოს დამოუკიდებლობა: მთავრობას არ შეუძლია რაიმე გავლენა მოახდინოს სასამართლოზე და ესა თუ ის განაჩენი უკარნახოს მას პირდაპირ თუ არა პირდაპირ.

სამწუხაროთ, ჩვენ თან და თან ვშორდებით ამ იდეალს იმის ნაცვლად, რომ თან და თან მიუახლოვდეთ მას. მაგრამ ამის მიზეზია არა დემოკრატიული პრინციპების უვარგისობა, არა ჩვენი მთავრობის ბოროტი ნება, არამედ ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა საბოლოვოთ განმტკიცებული და ჩამოყალიბებული არაა. ყოფილ რუსეთში, რომლის ნაწილს შეადგენდა ჩვენი ქვეყანა, დღეს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაა ორ ძალას შორის: მოხალისეთა ჯარსა და წითელ არმიას შორის. ეს ორი ძალა—როგორც მემარჯვენე დენიკინის, ისე კომუნისტ-ბოლშევიკებისა ძირიანად ეწინაალმდეგება დემოკრატიას და, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ორთავე ძალა სცდილობს ჩვენში გადმოიტანოს თავისი მოქმედების ბაზა. ორთავენი, როგორც დენიკინელები, ისე კომუნისტები გრძნობენ, რომ მათთვის მიუწდომელი გახდება საქართველო მას შემდეგ, როცა მისი საერთაშორისო მდგომარეობა საბოლოოდ განმტკიცდება. ამიტომ არავითარ ზომებს არ ზოგავენ ისინი, რომ პროვოკაციის ქსელი გააბან ჩვენში და არევ დარევა გამოიწვიონ.

ასეთ პირობებში დემოკრატიას უნდა ეზრუნა ქვეყნის გადარჩენაზე და ამის მიზეზია ის, რომ მან შემოიღო სამხედრო საგანგებო სასამართლო და გააფართოვა კერძოთ შინაგან საქმეთა მინისტრის და საერთოდ მთავრობის უფლებები, რომლის ძალით მინისტრს ნება აქვს დახუროს გაზეთები და ერთი

# დღეს

**მოხალისეთა ჯარმა ბრიანის მიმართულებით ქალაქი დმიტრევი აიღო.**

**საბჭოთა ჯარმა ქალაქი კროლევეცი დაიჭირა.**

**ამერიკის და ინგლისის სამშვიდობო კონფერენციის დელეგატებს განზრახვა აქვთ დასტოვონ საფრანგეთი დეკემბრის დამლევს.**

**ესტონიამ, ლატვიამ და ლიტვამ მიიღეს საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების საერთო პროგრამა.**

**ფრანგული პრესის ცნობით ბარსელონში მუშების გაფიცვა დამთავრდა.**

წლით ციხეში დაამწყვდიოს ან საზღვრებიდან გაამევოს მავნე პირები, ხოლო მთავრობას შეუძლია ეს სასჯელი კიდევ განაახლოს აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ქვეყნის მტრებთან ბრძოლის დროს ბევრი უდანაშაულო პირი ვერ ასცდება სასჯელს, ვიცით, რომ ადმინისტრატიულ სასჯელის არსებობის დროს ბევრი ბოროტათ გამოიყენებს თავის ნდობას და უფლება მოსილებას, მაგრამ სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს, რადგან სასწორზეა დადებული მთელი ქვეყნის, მთელი დემოკრატიის [illegible]

# დეპეშები

[illegible]

გადმოვიდენ, მაგრამ ჩვენი კონტრიერიშით ისინი მოვიგერიეთ. ყინულმა უკან დახეულებს ვერ გაუძლო და ჩაიმტვრა. მრავალი წითელი ჯარისკაცი დაიღრჩო. მკვდრებში აღმოჩნდა საბჭოთა პოლკის უფროსი და კომისარი.

### იტალიური პრესის ცნობები

იტალიასა და გერმანიას შორის სავაჭრო დამოკიდებულება შეიძლება იწარმოოს ნემცების ავსტრიის, სამხრეთ სლოვაკების და ჩეხო სლოვაკების მხრით. მინისტრთა საბჭომ ერთი მილიონი ლირი გადასდო [სავაჭრო საქ- [illegible]

### ფრანგული პრესის ცნობები

[illegible]

ქონება. ვოლინის ნოვგოროდის რაიონში ჩვენი ნაწილი შეტევაზე გადავიდა და ვოლინის ნოვგოროდის აღმოსავლეთით 20 ვერსზე სოფლები დაიჭირა. ჩერნიგოვის რაიონში დესნაზე გადასასვლელი ადგილი დავიჭირეთ და ჩერნიგოვთან მტერს სამხრეთით ვავიწროვებთ. ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველები, ტყვიები და მტრის როტა მთელის შემადგენლობით წამოვიყვანეთ.

**მოსკოვი.** ქალაქი კროლევეცი ჩვენმა ჯარმა დაიჭირა. წამოვიყვანეთ ტყვეები და მრავალი ქონება ხელში ჩავიგდეთ. დმიტრიევის ხელში ჩასაგდებად ბრძოლაა. კურსკის მიმართ. მტერი წინააღმდეგობას გვიწევდა, მაგრამ ჩვენ ფეტექისაკენ უკან დავიხიეთ, კურსკის რკ. გზის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი ზოლოტუხინოს სადგურის ხაზზე გამოვიდა. ქალ. მჩიგრთან ჩვენი ჯარი შეტევით ომს აწარმოებდა და კურსკ-მარმიჟის რკ. გზის ხაზზე დასავლეთით 5 ვერსზე გამოვიდა. კოლტორნაიას დასავლეთით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. ბობროვის მიმართ. ბრძოლა ცვალებადია. ჩვენმა ჯარმა ნოვოხოპერსკი დაიჭირა. ურიუპინ ს რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერი ხოპრის დასავლეთ ნაპირზე გადადევნა და სადგ. ურიუპინსკაია, პეტროვსკაია და ტეპიკინსკაია დაიჭირა. სამხრეთით სადგ. ბურაცკაიას და უსტ-ბუზულუკის შუა ხოპრის აღმოსავლეთ ნაპირზე ბრძოლა გრძელდება. ცარიცინის მიმართ. ბრძოლაა. ასტრახანის ჩრდილო აღმოსავლეთით 60 ვერსზე ბრძოლა გრძელდება. ომსკის დასავლეთით ჩვენი ჯარი სად. მარიანოვკას უტევს. აქ ჩვენ 700 ტყვე წამოვიყვანეთ და ხელში ჩავიგდეთ სხვა სამხედრო მასალა.

**მოსკოვი.** ნოემ. 13. რუს. კომ. პარ. ცენ. კომიტეტი წინადადებას იძლევა მთელი ყურადღება მიაქციოს სათბობი მასალის კრიზისს. რადგან სათბობის უქონლობა საბჭოთა რუსეთის განადგურებას უქადის.

**ლონდონი.** ნოემ. 8. „მანჩესტერ-გარდიენი", „საშინელი მდგომარეობა"ს სათაურით, სწერს, რომ სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ლოიდ ჯორჯის მთავრობა რუსეთის მიმართ თავის პოლიტიკის გამო. გაზეთი მოითხოვს გულახდილობას და სიმართლეს. რა უფლება გვქონდა, განაგრძობს გაზეთი, გვებრძოლა რუსეთთან, როდესაც ჩვენ ამ ქვეყნის მთავრობა არ ვაღიარეთ. თუ, როგორც მთავრობის წევრები ამტკიცებენ, ჩვენ არ შეგვიძლია ბრძოლა რუსეთთან, მაშინ რა უფლება გვქონდა გვეხოცა ხალხი, გამოგვეცხადებია ბლოკადა და შიმშილობის ოფიციალურად გამოცხადებამდე. სანამ მკვლელობას განვაგრძობდეთ და ბლოკადას შემოვიღებდეთ, საჭირო იყო, რომ მთავრობას პარლამენტში მიეცა ამის გამო ნამდვილი და გულახდილი განმარტება. ნეიტრალურ ქვეყნებში თანაგრძნობით არ ეკიდებიან საბჭოთა რუსეთში გამოცხადებულ ბლოკადას, მოკავშირეები კი გერმანიას აქეზებენ რუსეთს გამოუცხადოს ბლოკადა. სად არის აქ პრინციპების სამართლიანობა, რომელიც უძევს ხალხთა ლიგას საფუძვლად? გაზეთი შემდეგის სიტყვებით ასრულებს: „თუ ეხლანდელ მთავრობას არაფერი არ შეუძლიან ამის მეტი, გადადგეს და ადგილი სხვა კაბინეტს დაუთმოს.

**ბელოოსტროვი.** ნოემ. 8. სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის გამართულ ბანკეტზე ლოდ კერზონმა სთქვა, რომ აზიაში უთუოდ დადგება არეულობის ხანა. ბოლშევიზმის გავლენამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში შექმნა ახალი არეულობის ელემენტი, და ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიქნეთ, რომ სანამ ელემენტი იქნება ძლიერი და ცოცხალი, ჩვენ მოვესწრებით ბოლშევიკების ვრცელ პროპაგანდას აზიაში, ტრანსკასპიის და ავღანისტანის მხარეში. უკანასკნელ ომის უბედურების შემდეგ ჩვენ შევხვდება წინ უფრო მეტი საშინელი უბედურება. ინგლისის გავლენა სპარსეთში, მისი აზრით, უნდა იქნეს ბოლშევიკური საშიშროების წინააღმდეგი.

### გერმანული პრესის ცნობები

მოკავშირეთა კომისიის პირველი კრება შესდგება ტილზიტში, სადაც მოწვეულია დასავლეთ რუსეთის არმიის შტაბის უფროსი და დამოუკიდებელ ოლქების წარმომადგენლები, რომელთა დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია.

ესტონიამ, ლატვიამ და ლიტვამ მიიღეს საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების საერთო პროგრამა. მოლაპარაკება 15 ნოემბერს დაიწყება.

გერმანიის დელეგაცია გაემგზავრა პარიზში, იმ მიზნით, რომ ზოგიერთი საკითხები მოაწესრიგოს.

საფრანგეთის ტყვეობიდან დაბრუნდა 350 სანიტარი ჯარისკაცი. ზოგიერთმა გერმანიის მთავრობას გადასცეს, რომ მათ ძლიერ ცუდათ ეპყრობოდენ და სიმშილისაგან მრავალ სიკვდილის შემთხვევა იყო. ჯარისკაცთა ტრანსპორტს მოჰყვებოდენ საფრანგეთის შავი ჯარის კაცები, რომლის ყოფაქცევამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

შვეიცარიის ეროვნულმა საბჭომ ხალხთა ლიგასთან შეერთების შესახებ საკითხი აღძრა. სოციალდემოკრატიულმა წევრებმა უკანასკნელს წინადადება მისცეს, რადგანაც რწმუნებულებას ვადა 30 ნოემბ. გაუდის, ამიტომ ეს საკითხი გადასდოს. ახალი არჩევნები უფრო ადრე მოხდება, ვიდრე ამას ფიქრობდენ, რადგან ხალხთა ლიგის შესახებ მრავალი საყურადღებო საკითხები აღმოჩნდა.

### ამერიკული პრესის ცნობები

პადელუს მიერ პარიზში გამართულ კონცერტის პროგრამაში შევიდა უვერტიურა ვაგნერის „მეისტერ-ზინგერ"-იდან, რამაც ზოგ მსმენელებში დიდი წინააღმდეგობა და სტვენა გამოიწვია. დემონსტრანტები დარბაზიდან გაიყვანეს. საფრანგეთში გერმანულ მუსიკის ხელახლა შემოღების საკითხის შესახებ ანკეტა მოახდინეს პადელუს მიერ სამჯერ დადგმულ კონცერტზე. ანკეტამ ასეთი შედეგი მისცა 498 ხმა მომხრე იყო, 23 კი წინააღმდეგი გერმანულ მუსიკის ხელახლა შემოღებისა.

# ახალი ამბები

**დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის საკანტროლო კომისიის სხდომა.**

◆ **კლუბის გახსნა ქუთაისში.** დღეს, 15 ნოემბერს, ქუთაისში რკინის გზის რაიონული გამგეობა ხსნის ახლად აგებულ შენობაში რკინის გზელთა მუშათა კლუბს. კლუბის გახსნას დაესწრებიან: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე, დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის თავმჯდომარე რ. არსენიძე, გზათა მინისტრი ნ. ხომერიკი, დამფ. კრების წევრები: გრ. ურატაძე, ბენია ჩხიკვიშვილი ვლასა მგელაძე და აგრეთვე რკ. გზელთა ცენტრალური გამგეობის წევრები.

◆ **ქუთაისის რაიონის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეებს** შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა: რკინის გზელთა პროფეს. კავშირის ცენტრალური გამგეობა მოგილოცავს თქვენ, ამხანაგებო, მუშათა კლუბის გახსნას და გისურვებთ, რომ ამ ხელოვნების ტაძარში ეპოვოს ჩვენს მუშა მოსამსახურეებს ის სულიერი საზრდო, რაიც საჭიროა პროლეტარიატის კულტურულ-ზნეობრივ ამაღლებისთვის. დეე, ქუთაისის მუშათა კლუბი იქმნეს სამაგალითო და წასაბაძი მთელი ხაზისთვის. თავმჯდომარე ნ. ბერეჟიანი, მდივანი ი. ლაღიძე.

◆ **გვარდიის დღისათვის.** გვარდიის დღის მომწყობ კომისიამ დაადგინა მოიწვიოს 16 ნოემბრის სხდომაზე (სასახლე ოთახი 13—14) მხატვრები, არტისტები, კომპოზიტორები და სხვა პირები, რომელნიც მოისურვებენ სამხატვრო ნაწილში რაიმე პროექტის წარმოდგენას. კომისიამ გადასწყვიტა ამ წელში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დღესასწაულის იდეიურ და მხატვრულ მხარეს. ვინც მოისურვებს რაიმე მონაწილეობის მიღებას საზეიმო პროგრამის შემუშავებაში, შეუძლია მიმართოს ცნობებისათვის სასახლეში, ოთახი № 12 ყოველ დღე დილის 10 ს. 2 საათ.

◆ **საფრანგეთის საუნივერსიტეტო კურსების გახსნა.** სამშაბათს, 1 ნოემბერს ვაჟთა 1 გიმნაზიის შენობაში დიდის დღესასწაულით გაიხსნა საფრანგეთის საუნივერსიტეტო კურსები, რომელსაც დაესწრნენ: საფრანგეთის სამხედრო მისიის თავმჯდომარე გრაფი დე-ნონანკური, საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი, საფრანგეთის მისიის წევრი [illegible], განათლების სამინისტროს წარმომადგენელი [illegible] კვიშვილი, გენ. ოდიშელიძე, დამფუძნებელი კრების წევრი გვაზავა, პაპის ლეგატი დე-ლი ფოშ.

◆ **კვირას,** 16 ნოემბერს დილის 10 ს. მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია კოოპერატივ აღორძინების რწმუნებულთა ს. ს. დ. მ. პარტიის ფრაქციული კრება, საჭიროა ყველა ამხანაგების დასწრება.

◆ **ქართველ მაჰმადიანთა დამხმარე საზოგადოება.** თფილისში დაარსდა „ქართველ მუსულმანთა დამხმარე საზოგადოება", რომლის წესდება უკვე შემუშავდა და წარედგინა დასამტკიცებლად საოლქო სასამართლოს.

◆ **ფონდის მოხმარებისთვის.** ხელოვნების კომისიამ დაადგინა დაიბეგროს სათეატრო და სხვა გასართობთა ბილეთები და ამ შემოსავლით საგანგებო ფონდის შექმნას, ქართველ მოღვაწეთა მუდმივ დახმარების აღმოსაჩენად. ამის გამო კომისიამ გადასწყვიტა შეადგინოს საგანგებო კომისია, რომელიც შეიმუშავებს ზემოხსენებულ ფონდის მოხმარების წესებს.

◆ **დაჯარიმება.** ქალაქის მილიციის უფროსმა სახლის ანტისანიტარული მდგომარეობისათვის ერთი თვით ციხეში დაატუსაღებით დააპატიმრა აზნაურთა ქუჩა № 16-ში მცხოვრები ადამი შახპარონიანცი.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** ერობის ხმოსნის ტარიელ ყენიას ტრაღიკულმა სიკვდილმა ძლიერ დაგვაღონა. ჩვენ მწუხარებას ვუერთებთ მისი ცოლ-შვილის, მშობლების და ამხანაგების მწუხარებას. სილოვან და ანასტასია ძნელაძეები.

◆ **თავისუფლების ხეები.** დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ დაადგინა მოლაპარაკება გამართოს ქალაქის გამგეობასთან საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად ტფილისში რამოდენიმე ადგილას თავისუფლების ხეების დარგვის შესახებ.

◆ **დუშეთის სამაზრო ერობის** გამგეობა იწვევს გამოცდილ მასწავლებლებს, რომელთაც თვიურად ექნებათ 1500 მანეთი ჯამაგირი, ამას გარდა ბინა, გათბობა და განათება. ვისაც სურს ადგილი, საჭიროა გამოგზავნოს დოკუმენტები და თხოვნა დუშეთში გამგეობის სახელზე.

◆ **კაფე „უნიონის" რეკვიზიცია.** ადმინისტრაციის განკარგულებით, კაფე „უნიონის" (არამიანცის სახლში) რეკვიზია მოახდინეს. ამ ბინაზე მოთავსებული იქნება იტალიურ-კავკასიური ბანკი.

◆ **გადასახლება.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გა-

# [illegible] გვარდიის მე-2 კონფერენციის მოწოდება

**მუშებს, გლეხებს, სახალხო გვარდიელებს და ჯარისკაცებს.**

[illegible]

ამ ბოროტმა სულებმა თავიანთი დამღუპველი ტაქტიკით გასთიშეს დემოკრატია და მით რეაქციის ჯალათების საქმე გააკეთეს.

მოსპეს თუ არა ბოლშევიკებმა სიკვდილით სასჯელი? გაიხსენეთ, ამხანაგებო, როგორი გაафთრებით ებრძოდენ ისინი ამხ. ირაკლი წერეთელს, რომელიც ამტკიცებდა, რომ რევოლიუციას აქვს უფლება სიკვდილით დასაჯოს თავის მტერიო. თქვენ ეს გახსოვთ, ამხანაგებო, მაგრამ თქვენ ისიც იცით, რომ არსად და არასდროს, თვით საშინელი ინკვიზიციის დროს, არ სწყვეტდენ უსამართლოდ და განუკითხავად წამებით და ტანჯვით ამდენ ხალხს, როგორც ეს დღეს კომუნისტურ რუსეთში ხდება. აი როგორ მოსპეს იმათ სიკვდილით სასჯელი!

ხალხის მართველობის მაგიერ ბოლშევიკებმა ისეთი საზიზღარი და მუხანათური ტერორი გაამეფეს, რომელიც პირველ ყოვლისა გულს უგმირავს თვით დემოკრატიას. თქენ იცით ამხანაგებო, რომ საბჭოთა რუსეთში, თვით საბჭოებს აღარავითარი უფლება არა აქვს, იქ აღარ მოიპოვება არც ერთი დემოკრატიული ორგანო; რომ წითელ ჯარში დღეს ჯოხისა და ჯალათის დისციპლინაა. საბჭოთა რუსეთს დღეს მართავს არა საბჭოები, არამედ კომუნისტურ პარტიის ბიუროკრატია.

აი როგორ შეასრულეს ბოლშევიკებმა თავიანთი დანაპირები, როგორ გაანადგურეს დემოკრატია, დაღუპეს დიდი რევოლიუცია და ფეხქვეშ გაუგდეს იგი დენიკინის ავაზაკთა ბრბოებს.

და აი ასეთ უბედურების დროს, როდესაც ბოლშევიკურმა და დენიკინურმა რეაქციამ მოსპო და წალეკა რევოლიუციის ყველა მონაპოვარი, გადარჩა ერთი პატარა ქვეყანა, თავის პატარა, მაგრამ შეგნებული და შეკავშირებული დემოკრატიით, საქართველოს რესპუბლიკა.

ამხანაგებო, თქვენ კარგათ იცით ამ ახალგაზრდა დემოკრატიულ რესპუბლიკის ისტორია, რადგან თქვენ თვითონ შექმენით მისი ისტორია, რომლის საუკეთესო ფურცლები დაწერილია თქვენი და თქვენი დაღუპული ამხანაგების წმინდა სისხლით. თქვენ კარგათ გახსოვთ, რა წვალებითა და ტანჯვით იშვა ამ რესპუბლიკის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

რამდენი მსხვერპლი დასჭირდა ჩვენს დემოკრატიას ამ თავისუფლების დაცვის საქმეში. რუსეთში რომ ბოლშევიკებს დემოკრატიული ფრონტის მთლიანობა არ დაერღვიათ, რევოლიუცია უზრუნველყოფილი იქნებოდა და მაშინ ერთა თვით-გამორკვევის უფლებას თვით დემოკრატია და მისი მესვეური მუშათა კლასი განახორციელებდა ყველა იმ ერთა მიმართ, რომელნიც ისტორიის განგებით ყოფილ რუსეთის იმპერიის საზღვრებში იყვნენ მოქცეულნი, მაგრამ ბოლშევიკთა მუხანათურმა ხელმა მოშალა ამ დემოკრატიული ფრონტის მთლიანობა, იმათ ფეხქვეშ გასთელეს საერთაშორისო პროლეტარიატის წმინდა ლოზუნგი—ერთა თვით გამორკვევის შესახებ.

ბოლშევიკებმა მოკლეს რუსეთის რევოლიუცია, უფლება და პატივი აჰყარეს დემოკრატიას, სული ჩაუდგეს რეაქციას და მით დენიკინს გამარჯვება მიანიჭეს. საქართველო მოსწყდა რუსეთის დემოკრატიას, რადგან ბოლშევიკთა წყალობით ეს დემოკრატია უკვე აღარ არსებობდა. ამგვარათ საქართველოს დემოკრატია იძულებული შეიქნა თავისთავისათვის მოევლო და რევოლიუციის მტრებთან ბრძოლაში საკუთარ ძალას დაყრდნობოდა, და თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა ძნელი და გამუდმებული იყო ეს ბრძოლა! უამრავი მსხვერპლი და განუსაზღვრელი ძალა და ენერგია დაიხარჯა ამ ბრძოლაში, მაგრამ დემოკრატია გამარჯვებული გამოვიდა ამ განსაცდელიდან. და აი გამუდმებულ ბრძოლის დროს, როდესაც ქვეყანას გარს ომის ალი ეხვია და თავს ტყვიის სეტყვა აცვიოდა, დემოკრატია დაუღალავათ ქმნიდა ახალ სახალხო წყობილებას, აშენებდა რესპუბლიკას და რასაკვირველია, რომ ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში საამშენებლო მუშაობა ხან ფერხდებოდა, ხან კიდევ შეცდომით სწარმოებდა. მაგრამ მიუხედავათ ათასნაირ დაბრკოლებისა, ჩვენი დემოკრატია დაადგა სწორ გზას. ხოლო რევოლიუციის საქმის სავსებით დასრულება, ხალხის ყოფა-ცხოვრების ახალ საფუძველზე აგება და პარტახ მინდორზე სახელმწიფოს აშენების დამთავრება ორი წლის განმავლობაში ძნელია და შეუძლებელიც, მით უმეტეს, რომ მთელი რუსეთი დარბეული და გაჩანაგებული იყო თვითმპყრობელობის, ომის ბოლშევიკებისა და დენიკინელთა მიერ.

აი ასეთ პირობებში იქმნებოდა ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც ბედნიერ ოაზის წარმოადგენს ყოფილ რუსეთის რეაქციონურ უდაბნოში, და აი სწორეთ ეს გარემოება ეკლათ ესობათ თვალში როგორც ბოლშევიკებს, ისე დენიკინს, რომელთა აურაცხელი აგენტები დაძრწიან ამიერ კავკასიაში და განსაკუთრებით კი საქართველოში და როგორც ლენინის ისე დენიკინის დამქაშები თუმცა სხვა და სხვა გზით, მაგრამ ერთი მიზნისკენ მიდიან, საქართველოს დემოკრატიის განადგურება—აი მათი უახლოესი მიზანი.

ბოლშევიკები და დენიკინელები აურებელ ფულს ხარჯავენ ჩვენში არეულობის გასაძლიერებლათ, რათა ანარქიის ცეცხლში დასწვან ქვეყანა და გაანადგურონ ხალხი. ყველა ის ავაზაკები და მძარცველები, რომელნიც გემებს ესხმიან და მატარებლებს ამსხვრევენ, ჩვენი მტრების შემოჩენილნი არიან, ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ჩვენ დასაღუპავათ. დიდი სიფრხილე და ენერგია მართებს ჩვენს დემოკრატიას და განსაკუთრებით მუშათა კლასს ქვეყნისა და ხალხის მტერთა წინააღმდეგ გასამკლავებლათ.

გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ საქართველოში ისე მოეწყო საქმე, რომ საქმით ყველა დენიკინელი იგივე ბოლშევიკია და ყველა ბოლშევიკი დენიკინელია, ხოლო თითეული ავაზაკი ერთსა და იმავე დროს ბოლშევიკიცაა და დენიკინელიც, რადგან ის ორივესაგან იღებს ფულს და ორივე მათგანის ბნელი საქმე წყალს ამღვრევს და ავაზაკის საქმეს აკეთებს.

მაშ, ყველა ამათ წინააღმდეგ სასტიკი და ულმობელი ბრძოლა! ამხანაგებო! არ შევარცხვინოთ რევოლიუციის წითელი დროშა, არ დავანებოთ სათელავათ წითელი ალამი რეაქციის ყავყორნებს.

ამხილეთ ხალხის მტერთა შეთქმულება, მოსპეთ და გაანადგურეთ მათი ორგანიზაციები, ხოლო მათი ავაზაკი და ბოროტი ხელმძღვანელები საგანგებო სამართალს მიეცით ხელში.

ამხანაგებო გვარდიელებო, ჯარისკაცებო! არ დაივიწყოთ ის ბოროტებანი, რომელიც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს ჩვენს ქვეყანაში. და ან კი როგორ დაივიწყებთ, განა თქვენ და თქვენი დაღუპული ამხანაგები არ გახდენ მათი ვერაგობის მსხვერპლი? განა შეიძლება კაცმა მოსთვალოს ბოლშევიკთა ყველა დანაშაული; გაიხსენოს და მოიგონოს მათი ყველა მუხანათური საქმენი?

როდესაც სულთანის ბრბოები ბათუმში შემოიჭრენ და საქართველოს გულისკენ მიიწევდენ, მაშინ ბოლშევიკებმა სამეგრელოში აჯანყება მოაწყვეს და ჩვენს ფრონტს ზურგში მოღალატურად დანაჩხვლეს.

როდესაც თათართა ურდოები ბორჩალოს მაზრიდან თფილისს აწვებოდენ და თქვენ ფრონტი გეჭირათ აქედან ათ ვერსზე, მაშინ ამ გარეწარმა და მუხანათურმა ბოლშევიკებმა აჯანყების დროშა ააფრიალეს სოხუმის ოლქში, ლეჩხუმის და დუშეთის მაზრებში.

როდესაც დენიკინის შავი ძალები რესპუბლიკის ჩრდილო საზღვრებს მოადგენ და ჩვენს არსებობას ემუქრებოდენ, ბოლშევიკებმა დენიკინის აგენტებთან ერთად ამბოხების მოწყობა განიზრახეს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ნუ თუ ყველა ამის შემდეგ კიდევ შეუძლია ვისმეს ოსმალურ რეაქციისა და დენიკინის კონტრ-რევოლიუციის აგენტებს უწოდოს დემოკრატიის მეგობრის სახელი!! ისინი დაუძინებელი და მოსისხლე მტერი არიან დემოკრატიის, ისინი ჯალათებია პროლეტარიატის და მუშათა კლასმა შეუბრალებლად უნდა გაანადგუროს და აღმოფხრას მათი ბნელი საქმე და მოღალატური ზრახვები. ბოლშევიკური ანარქია და დენიკინური კონტრ რევოლიუცია არსებითათ ერთი და იგივე რეაქციაა და დემოკრატიამ უნდა ერთნაირის სისასტიკით და დაუნდობლობით აწარმოვოს ბრძოლა ორივე ფრონტზე.

**გაუმარჯოს დემოკრატიის ბრძოლას თავისუფლებისათვის!**

**გაუმარჯოს მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას!**

**გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!**

**ძირს ბოლშევიკები და დენიკინელები!**

**გაუმარჯოს სოციალიზმს!**

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მეორე კონფერენცია.**

...დასახლებულ იქმნენ „ზნამია რევოლიუციის“ თანამშრომლები თარხანოვი და ტერ ნერსესიანი.

**ხელოვნების კომისიაში.** დამფ. კრების ხელოვნების კომისიის დავალებით, აკაკი ფალავამ შეადგინა და ხელოვნების კომისიას წარუდგინა პროექტი რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრის დებულებისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.

**ექიმთა ყრილობა.** საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა. 16 ნოემბერს იწვევს დელეგატთა ყრილობას. ყრილობა მოხდება ქ. ტფილისში, სამაზრო ერობის ბინაზე. ყრილობა გასტანს 2—3 დღეს.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ჩუღურეთის ახალგაზრდა მარქსისტთა კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე, შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. ტფილისის ქალთა კომიტეტის წევრთა სხდომა.

— კვირას, 16 ნოემბერს, დილის 10 საათზე, კინო-თეატრ „ფილმა“-ს შენობაში (ყოფილი „მინიატიური“), ოლღას ქუჩა, № 3, დანიშნულია ელექტრიკების, მეტალისტებისა და შოფერების კავშირთა საერთო კრება.

## მუშათა წერილები

### თავდაცვის საჭიროებისათვის.

ამ უკანასკნელ ხანებში დიდის ენერგიით ამოძრავდენ ჩვენი რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის მტრები. დენიკინელი და კომუნისტი, ყაჩაღი და დეზერტირი, ყველანი გაერთიანდენ და შეთანხმებულათ მოქმედებენ ჩვენი დემოკრატიული წყობილების დასანგრევათ. რა თქმა უნდა ყველა ამათ თავთავიანთი მიზანი აქვთ, მაგრამ ერთ უმთავრეს საკითხში ისინი სრული შეთანხმებით მოქმედებენ—ესაა საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი დემოკრატიული მთავრობის დამხობა, რის შემდეგ მათ ადვილათ შეეძლებათ თავიანთ საწადელს მიაღწიონ.

ბევრს შეიძლება ასეთი მოვლენა,—რეაქციონერებისა და ანარქისტული ჯგუფების გაერთიანება—არაჩვეულებრივი ეგონოს, მაგრამ თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ წარსულ ევროპის რევოლიუციების მსვლელობას, აქ მოულოდნელი არაფერია. რეაქციონერები ყველა რევოლიუციების დროს ხელს უწყობენ ანარქისტული მოძრაობის გაძლიერებას, რომ შემდეგ ადვილათ შესძლონ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. მაგრამ რომ ამ მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდეს, ავიღოთ თვით რუსეთის რევოლიუცია, განა რუსეთში დენიკინი შესძლებდა იმოდენა ძალის შემოკრებას, რომ კომუნისტური გადატრიალება არ მომხდარიყო და ბალშევიკებს სამოქალაქო ომი არ გაეჩაღებინათ? რა თქმა უნდა არა.

სწორეთ ამით აიხსნება საქართველოს რესპუბლიკაში რეაქციონერების სისუსტე. ქართველი დემოკრატია რომ ბალშევიკების გზას გაყოლოდა, ამით ის რეაქციას ერთი ორათ გააძლიერებდა. ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა თითქოს აქ რეაქციონერები და არსებული წესწყობილების მოწინააღმდეგენი აღარ იყვენ, არა, ისინი აქა იქ ჯერ კიდევ ბოგინობენ, მაგრამ სულ სხვა სახით, ვინემ რუსეთში.

თუ რუსეთში რეაქცია აშკარათ მოქმედებს დენიკინ-კოლჩაკის მეთაურობით, სამაგიეროთ ჩვენში რეაქციონერები კომუნისტურ მანტიაში გახვეული „სოციალისტური“ ლოზუნგებით გვევლინებიან და დაუყოვნებლივ სოციალიზმის განხორციელებას ქადაგებენ. ამის საუცხოვო მაგალითს გვაძლევს უკანასკნელი ბალშევიკური გამოსვლები რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში, რაიც დემოკრატიისა და რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მიერ დაუყოვნებლივ იქნა ჩაქრობილი.

ვინ არიან ეს აჯანყებულები?

რა ამოძრავებთ მათ?

ეს ხალხი ჩვენ შეგვიძლია დავყოთ რამოდენიმე კატეგორიებათ. აქ მოქმედებენ დენიკინის აშკარა აგენტები; ყაჩაღები, რომელთაც რამოდენიმე ავაზაკური მოქმედებანი აქვთ ჩადენილი; დეზერტირები, რომელნიც სამხედრო სამსახურს გაურბიან და ორიოდე „იდეიური“ კომუნისტები.

ყველა ამათ ამოქმედებთ თავ თავიანთი მიზნები. ასე მაგალითათ: დენიკინელებს სურთ საქართველო ანარქიის ალში გახვიონ და მით გაუადვილონ დენიკინის რეაქციონურ ლაშქარს მისი დაპყრობა; ყაჩაღებისთვის ანარქია ერთად ერთი საშუალებაა, რომლის დროს მთავრობას საშუალება არ ექნება მათ ასალაგმავათ და ისინიც ადვილათ შესძლებენ ძარცვა გლეჯის გაძლიერებას; დეზერტირებს ანარქიის დროს საშუალება მიეცემათ თავიანთ მოვალეობის ასრულებას კიდევ რამოდენიმე ხნით გაექცნენ; ხოლო „იდეიური“ კომუნისტების გეგმები კი უფრო დიდია; ისინი ეყრდნობიან რა ყველა ზემოხსენებულ ელემენტებს, სურთ მთელი ძალა-უფლება ხელში ჩაიგდონ და საქართველო საბჭოთა რესპუბლიკათ გამოაცხადონ და აქედან შეუტიონ დენიკინის ლაშქარს და მით კომუნისტების წითელ ჯარს საშუალება მისცენ თავიანთი შერყეული ბატონობა კიდევ რამოდენიმე ხნით შეინარჩუნონ.

აი, ასეთია ის მიზნები, რომლის გარშემოც ეს ვაჟბატონები შეთანხმებული მოქმედებენ.

ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში ამ ვაჟბატონებმა უკვე ორჯერ სცადეს თავიანთი გეგმის სისრულეში მოყვანა, მაგრამ მათი ცდა ორჯერვე მათივე სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს საფრთხე საბოლოოდ აშორებული იყოს და ანალოგიურ გამოსვლებს მომავალშიაც აღარ ექნეს ადგილი. ყოველ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა და დემოკრატია მზათ უნდა იყოს და მოსალოდნელი საფრთხის აცილებას ამ თავიდანვე უნდა შეუდგეს.

დემოკრატიისა და მუშათა კლასის კეთილდღეობისთვის ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს რესპრესიების მიღებამ მოღალატეთა წინააღმდეგ; ამასთანავე სასწრაფო ზომები უნდა იქნას მიღებული რესპუბლიკის ტერიტორიის გასაწმენდათ.

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ მთელს ჩვენს რესპუბლიკაში და განსაკუთრებით მის დედა-ქალაქ ტფილისში აუარებელი უცხო უსაქმო ელემენტია შემოხიზნული, რომელნიც ვითომდა წყნარი ცხოვრების სურვილით მობრძანებულნი უცდიან შესაფერ მომენტს, რომ ზურგიდან მახვილი ჩაგვცენ. ამ ელემენტების აქედან გაძევებას ორგვარი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ერთის მხრით თავიდან აცილებული იქნება ის საფრთხე, რომელიც მათი მხრით არის მოსალოდნელი, და მეორეც, ადგილობრივ მკვიდრთ მოხმარდება ის აუარებელი სურსათ სანოვაგე, რომელიც მათ გამოსაკვებათ ყოველდღე იფლანგება.

როგორც ცნობები გვაქვს, ასეთი რადიკალური ზომების მისაღებათ შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავრობასა და დამფუძნებელ კრებაში წარუდგენია შესაფერი დეკრეტი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესძლო დეკრეტში ნაჩვენები ყველა ზომების განხორციელება და განსაკუთრებით კი საქართველოს ტერიტორიის გაწმენდა არასასურველ ელემენტებისაგან, საქართველოს რესპუბლიკა, თუ სამუდამოთ არა, დიდი ხნით მაინც უზრუნველყოფილია სამოქალაქო ომისა და ანარქიის ტალღებისაგან..

ხ. ელიაძე.

## სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საკრებულოს სხდომაზე ნოემბრის 17 ს გაირჩევა საკასაციო წესით შემდეგი საქმეები: 1. საქმე ივანე გრიგოლის ძის ერისთავისა ავგუსტ იაგორის ძე ზეზემანთან 120,000 მანეთის შესახებ.

2. საქმე ივანე თომას ძის მურადოვის კონსტანტინე იაკობის ძე გურგენოვთან თამასუქებით 24,500 მანეთის შესახებ.

3. საქმე ქალაქ გორის თვითმართველობის მარიამ ავაქის ასული სურენიანცის, ვასილი ავაქის ძის და კალია ავაქის ასულის დავიდოვებთან მამულზე საკუთრების უფლების შესახებ.

4. საქმე გრიგოლ ალექსის ძის პელიძის მარიამ არტემის ასულის კულიჯანოვისასთან საჯარო ვაჭრობით მამულის გაყიდვის გაუქმების შესახებ.

5. საქმე მცირე წლოვანის მამედ მაშადი გულამ ოღლი შარიფოვის პიროვნების და ქონების მოურავობის რაღიმ ალიევთან ანგარიშის მოთხოვნის შესახებ.

6. საქმე სავაჭრო საქმის „ლაზარ მაილოვი და შვილები“ სავაჭრო სახლთან „ზერტმან და კარპოვსკი“ 3000 მანეთის შესახებ.

## ერობების ცხოვრება

### ზუგდიდის მაზრის ერობა

მაზრაში ყველგან მოგვარებულია თემები. სათემო გამგეობები უკვე მუშაობენ. სულ 41 თემია. მაზრის გამგეობამ მათ გაუხსნა მოსაწყობად კრედიტი 50,000 მანეთამდე.

— მაზრისა ხმოსანთა ყრილობის ემ IV სესია, ოქტომბრის დამლევს დამთავრდა. გამგეობას ამ ჟამად გაჰყავს ცხოვრებაში ყრილობის დადგენილებანი. მნიშვნელოვანია მათ შორის სანიტარული გადასახადის გაწერა, რომელიც უდრის 3 მილიონ მან.

— ადმინისტრაცია შედარებით გადახალისებულია და მოწყობილი. მაზრაში სიწყნარეა. თუმცა ყაჩაღების ბრბოების თავდასხმას აქა იქ აქვს ადგილი, მაგრამ მაზრის ცხოვრების ნორმალურს მიმდინარეობასეს ვერ არღვევს. მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომებია მიღებული.

— მთავარი გზებს მაზრაში ერობის მიერ დანიშნული ჰყავს ტეხნიკები და მუშები შესაკეთებლად. თემებს დავალებული აქვთ სასოფლო გზების შეკეთება და გაყვანა. მაზრაში ტელეფონის ქსელი გაყვანილია. მთავარი პუნქტები და საზოგადოებები მაზრის ცენტრთან შეერთებულია.

— უმთავრესი ყურადღება თავიდანვე ერობამ მიაქცია მაზრის ბუნებრივს სიმდიდრეს, როგორც არის ხე ტყე. გეოგრაფიული მდებარეობა მაზრისა დიდათ უწყობს ხელს ამ საქმის სათანადო მოწყობას. ტყით მდიდარია მთა სვანეთის საზღვარზე, სადაც იწყება მდ. ინგური. ეს მდინარე დაქანებულია მთიდან და ერთვის შავს ზღვას დ. ანაკლიაში. ერობას აქვს ამ დაბაში იჯარით აღებული ერთი სახერხი ქარხანა, ზღვის პირზე. აქვე აშენებს ახალ ქარხანას, რომლის სულ ახალი სისტემის მანქანები ერობამ შეისყიდა ინჟ. ვილეიშისისაგან. ამ ქარხნის დადგმა ერობას ორ მილიონამდე უჯდება. გარდა ამის ს. შამგონაში, ინგურის პირზე მუშაობს კიდევ მესამე ქარხანა ერობისა. დამზადებულია უკვე 100,000 დე კუბ. ფუტი მასალა.

ერობას ნახ. მილიონი კუბ. ფუტი მასალისა შეკვეთილი აქვს. ერთ ერთ პირობის ძალით ერობამ უნდა მიიღოს 30,000 ფუთი თეთრი პურის ფქვილისა 200,000 კუბ. ფუტისათვის. მთავრობის ზოგიერთი წევრი გაცნობილია ამ პირობას. ერობამ კიდეც მიიღო ნახ. მილ. კუბ. ფუტის საზღვარგარეთ გაზიდვის ნებართვით.

— შავი ზღვის რკინის გზაზე მხოლოდ ხუთამდეა მიმოსვლა. სენაკიდან გაკეთებულია 22 ვერ. მანძილი. ზუგდიდამდე დარჩენილია დაუმთავრებელი გზა 16—18 ვერ. მანძილისა.

ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ გზას, თუ იგი ზუგდიდით სუხუმამდე იქნა გაყვანილი, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ეკონ., აგრეთვე სტრატეგიულათ. ზუგდიდის მაზრის ერობამ და ქალაქის თვითმართველობამ წარმოგზავნეს მიმდინარე ნოემბრის 10-ს დელეგაცია, რომელიც წარუდგა მთავრობის თავმჯდომარეს და აღძრა შუამდგომლობა გზის ზუგდიდამდე გაგრძელებისათვის. მთავრობამ იცნო საჭიროდ გზის გაყვანა და ხარჯთ აღრიცხვის შედგენა მიანდო გზათა უწყებას, რომელსაც დავალებული აქვს ერთი კვირის განმავლობაში დაასრულოს ამ მხრით მუშაობა. ერობისა და ქალაქის წარმომადგენლების თანდასწრებით უკვე მოხდა სპეციალისტთა თათბირი ამ საგანზე გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორის ბ. ბ. პიპინაძის თაოსნობით და თამჯდომარეობით.

## რკ. გზელთა წარმომადგენლების მე-2 ყრილობა

2 ნოემბრის სხდომა.

(დასასრული)

**ყრილობის თავმჯდომარის გრ. ლორთქიფანიძის უკანასკნელი სიტყვა.**

ყრილობის დახურვის წინ თავმჯდომარემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

ათი დღის ინტენსიური და დაუღალავი შრომის შემდეგ დასრულდა ჩვენი მუშაობა. დიდმნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეები გააკეთა თქვენმა ყრილობამ. მე არ შევუდგები ამ მუშაობის დაწვრილებით მიმოხილვას, ეს დიდ დროს წაგვართმევდა და არც საჭიროა, რადგან ყველაფერი ეს თქვენ სულითა და გულით განიცადეთ და რასაკვირველია ცოცხლათაა აღბეჭდილი თქვენს მეხსიერებაში. მე მინდა მხოლოდ ორიოდე სიტყვით რამოდენიმე ზოგად მომენტებს მივაქციო ყურადღება. ყველა პირუთვნელმა მიმომხილველმა აღტაცებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თქვენ მუშაობას წითელი ზოლივით მისდევდა უმაღლესი კლასობრივი და სახელმწიფოებრივი შეგნება. მუშათა კლასი განიცდის უდიდეს ნივთიერ გაჭირვებას, მსოფლიოს ეკონომიური გაჩანაგება სასტიკი სიმძიმით დააწვა მას კისერზე. მაგრამ მისი ბრძოლაში ნაწრთობი ავანგარდი ამის გამო სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და ანარქიულ ბრძოლისკენ არავის არ მოუწოდებს. თქვენ თვალი გაუსწორეთ დუხჭირ სინამდვილეს. ალლო აუღეთ ობიექტიურ შესაძლებლობას, ნათლათ შეიგენით და შეაგნებიეთ კლასს, რომ დღევანდელ პირობებში მაქსიმალიზმი მინიმუმსაც დაღუპავს, რომ ყველაფრის მოთხოვნა არაფრის ამარა დასტოვებს ყველას. ის კლასი, რომელსაც ასეთი სწორი თვალის პატრონი ავანგარდი ჰყავს, არ გადიჩეხება ისტორიის ხრამში.

თქვენს მუშაობაში იყო ერთი მწვავე საკითხი—ადმინისტრაციის გამოყოფა კავშირიდან. გადაწყვეტილება, რომელიც ყრილობამ მიიღო, სავსებით არც ერთ თქვენგანს არ აკმაყოფილებს. ეს გარემოება სწორეთ იმას ამტკიცებს, რომ კითხვა ბრძნულის თანდათანობით გადაწყვეტილა. კომპრომისის დამახასიათებელი და ნიშნობლივი თვისება სწორედ ისაა, რომ ის სავსებით არავის არ აკმაყოფილებს. კომპრომისი, როდესაც ის მეორე კლასთან შეკრული, უმეტეს შემთხვევაში მიუტევებელი ოპორტიუნიზმია, ხოლო კომპრომისი კლასის შიგნით, ამ კლასის მაღალი შეგნების მომასწავებელია. არსებითათ ამ კითხვის შესახებ უნდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. ზოგიერთებმა ყრილობის დადგენილება შეიძლება ისე გაიგეს, რომ ადმინისტრაცია განიდევნა კავშირიდან, ვითარცა კათაკმეველნი პროლეტარული ეკლესიისა. ეს უდიდესი შეცდომაა. ჩვენი რკინის გზის ადმინისტრაციის ცხრა მეათედი ჩვენი მუშათა ოჯახის ერთგულნი წევრნი არიან. ადმინისტრაციის გამოყოფა იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საერთო ოჯახის წევრებმა შრომა გაინაწილეს. პროლეტართა ერთი რაზმი ადმინისტრაციის სახით გაიგზავნა იმ პოზიციაზე, საიდანაც ის ჩვენ საერთო საქმეს პირველყოვლისა სახელმწიფოებრივი თვალით დაზვერავს და ისწავლის. მუშათა მეორე ჯგუფი კი იმავე საერთო საქმეს, პირველყოვლისა, წმინდა კლასიური გზით მიუდგება. ამ გვარათ ორი ჯგუფი ერთ და იმავე ოჯახის შვილნი ერთი მიზნისკენ გასწევენ, გასწევენ და კიდეც მივლენ. ერთი მიზნისკენ-თქვა, ვამბობ ვინაიდან ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოსა და მუშათა კლასის ბედნიერება ერთი და იგივეა. ერთი მეორის მიზეზი და პირობაა.

ამხანაგებო, თქვენი ყრილობის დროს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები მოხდა რესპუბლიკაში. ეს იყო რესპუბლიკისა და დემოკრატიის მტერთა ვერაგული ღალატი და ამბოხება. ამ საპასუხისმგებლო წამში თქვენთან მოვიდა თქვენი მთავრობა, რომ მშრომელთა მასის მაჯის ცემა და გულის თქმა გაეგო. თქვენ კი თქვენებური პროლეტარული მტკიცეთ და მკაფიოთ გამოთქმული დირექტივები მიეცით მათ. თქვენ უთხარით მთავრობას, რომ რესპუბლიკის ორგულთა და მოღალატეთა მიმართ ლმობიერებას და ორჭოფობას ადგილი არ უნდა ქონდეს. თქვენ მოითხოვეთ მეტი სიმტკიცე ყოველი ჯურის კონტრრევოლიუციის აღმოფხვრის საქმეში. მეორე იყო თქვენს რკინის გზაზე თავდასხმა. მტერს მიზნათ აქვს დასახული ჩვენი არსებობის უმთავრესი ძარღვის გადაჭრა. ვინც არ იცნობდა თქვენს შეგნებას და პროლეტარულ თავდადებას, ფიქრობდნენ, რომ ასეთი მოვლენები თქვენს წრეში სულმდაბლობასა, და არევ დარევას გამოიწვევდა. მაგრამ სასტიკად შეცდენ. თქვენ გადაჭრით განაცხადეთ, რომ მოღალატური თავდასხმანი ლიანდაგზე სხვათა შორის პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებაა და რომ თქვენ ვერავითარი მსხვერპლი ვერ შეგაშინებთ და ქედს ვერ მოგახრევინებთ მტარვალთა წინაშე.

ძველი ელინური მოთხრობაა. როდესაც გმირ ანთეოზს მეტი ძალის მოკრება დასჭირდებოდა, ის მიწას შეეხებოდა და გაღონიერდებოდაო. თქვენი მთავრობაც ასეთ დიდ საქმეების დროს მოდიოდა თქვენთან და ამ დარბაზიდან თქვენის ძალითა და მხნეობით გაღონიერებული და გამხნევებული მიდიოდა იქ, სადაც სწარმოებს რესპუბლიკისა და დემოკრატიის საპასუხისმგებლო და მძიმე საქმე.

წურავის ექნება შიში სახელმწიფო მეურნეობის იმ უდიდეს დარგის შესახებ, რომელიც თქვენ გაბარიათ.

აქ გამოირკვა და რესპუბლიკამ უკვე იცის, რომ რკინის გზელთა თვითმოქმედებამ მოსპო უბილეთობა ჩვენ გზაზე. რომ რკინის გზის მუშაკი გლოვობს რესპუბლიკის ზარალს, ნამდვილის ცრემლებით სტირის, როდესაც მატარებელი გადიჩეხება; ჩვენს მემანქანეს ისე უყვარს და ალერსის ხელით ეპყრობა ორთქლმავალს, როგორც ერთგული მეურნე გლეხი თავის საკუთარ მარჩენალ გიშერა ხარს. განა ასეთ მუშაკთა ხელში ეს დარგი არ აყვავდება!?

ამხანაგებო, უდიდესი ისტორიული საქმე აქვს დაკისრებული ჩვენ მუშათა კლასს და მის მეწევეურთ. თქვენი ბრძნული დადგენილებანი დიდათ შეუწყობს ხელს ამ დავალების ასრულებაში. თქვენს განაჩენს ანგარიშს გაუწევს არა მარტო საქართველოს ხალხი, არამედ რესპუბლიკის გარეშე ძალებიც. ისტორია ვერ გასწირავს ისეთ სახელმწიფოს, რომლის ბურჯია ის მუშათა კლასი, რომელმაც მარტო მოთხოვნა კი არ იცის, არამედ უდიდესი მოთმინებაც; არ იცის ზომა და ანგარიში მსხვერპლის გაღების დროს, ხოლო საკუთარ მოთხოვნილებას ათჯერ გაზომავს და ასჯერ ასწონის და ათასი რა ძნელი საქმე ქონდეთ დაკისრებული—ასეთი ლაშქარის მესვეურთ აბა რა უჭირთ, არც გაუჭირდებათ. მათი საქმე გაიმარჯვებს. მაშ გაუმარჯოს ამ ლაშქარს—საქართველოს მუშათა კლასს და მის ბელადთა ბელადს ჩვენს სიამაყეს ნოე ჟორდანიას.

## ქვაბღელი ბალშევიკები

(წერილი გურიიდან).

ვისაც გაგონილი აქვს ამ სოფლის სახელი, მას, ეჭვი არაა, გაეცინება. ვისაც არ მოეხსენება მისი არსებობა, ის კი გაკვირვებით იკითხავს—ეს რაღა ღვთის რისხვაა....

ქვაბღა პატარა სოფელია. პატარა სივრცით, მცხოვრებთა რაოდენობით, კულტურით და სხ., მაგრამ დიდი აღმოჩნდა კომუნისტური „შეგნებით“. აქ, ამ სოფლად, დაგორდა ის კომუნისტური თუ ყაჩაღური ტალღა, რომელმაც, შეიერთა რა სხვა პატარა ნაკადები, ნოემბრის 9-ს, ნაშუაღამევის 4—5 საათზე ერთიანად წალეკა ჩოხატაურში არსებული ადგილობრივი მართველობა.

ქვაბღა, ნაბეღლავი, ერკეთი სახაზინო ტყეს სჩხდა. როცა მათ ეს აღუკრძალეს, ბალშევიკები გახდნენ. ბევრი რამ აღმოჩნდა იმის „საბუთი“, რომ ამ სოფლებს კომუნისტური საბჭოთა მთავრობის შექმნა განეზრახათ.

ასეთი განზრახვის სისრულში მოყვანას შეუწყვეს ხელი საბჭოთა რუსეთის თუ დენიკინის აგენტებმა. მათ შესაფერისად გამოიყენეს ეს „ნედლი მასალა“.

მათი შთაგონებით იყო, რომ სოფლის უკმაყოფილო, მოყაჩაღე ელემენტები დაესხნენ დაბა ჩოხატაურს და „გურიის გლეხთა დავალებით“ „დეკრეტი“ გამოსცეს იმის შესახებ, რომ წითელი გვარდიის შტაბის ნებადაურთველათ არ შეიძლებოდა იარაღის ტარება, რომ მცხოვრებთ წესრიგი დიეცვა და სხ.

ასე დაამყარეს მათ ამ ქვეყნად „სამოთხე“...

მაგრამ მეორე დღეს, ამ ყაჩაღ ბალშევიკების, დაბიდან განდევნისა, სოფლელნი პირზე ღიმილ მომდგარნი კითხულობდენ სავაჭროების კეთლებზე გაკრულ „დეკრეტს“.

როგორც ზემოდ მოვიხსენიე, ნოემბრის ცხრას, გათენებისას დაიკავეს ამ ყაჩაღებმა დაბა ჩოხატაური. დაიკავეს ჩვეულებრივის რახა-რუხით, ხმაურობით. მთავრობის რამდენიმე მილიციონერებს და სახალხო გვარდიის შტაბს მათთვის სერიოზული წინააღმდეგობა არც კი გაუწევია, მაგრამ ყაჩაღებმა ტყვიის მფრქვეველებით და თოფებით ჯოჯოხეთის ცეცხლი დაანთეს. სწორედ სროლის ხმაზე გაჩნდენ სოფლად ბალშევიკების აგენტები და ალაპარაკდენ, რომ ბალშევიკებმა უკვე ჩაიბარეს ყველგან ძალა-უფლება: ტფილისში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში და სხვაგან.

მაგრამ გამოირკვა, რომ ლანჩხუთში სახალხო გვარდიას გათავხედებული ყაჩაღები გაერეკა და დაემარცხებინა...

ჩოხატაურის გარშემო კი, დილიდანვე იწყო სხვადასხვა სოფლებიდან მისვლამ სახალხო გვარდიამ ალყის შემორტყმა. სოფლის გვარდია არ იჯდა გულზე ხელდაკრეფილი. სათანადო განკარგულების მიღებამდე ატუსაღებდენ სოფლად ბალშევიკებს, იარაღსა ჰყრიდენ მათ, მიდიოდენ და ჩოხატაურის მახლობლად პოზიციებს ამაგრებდენ. დიდათ უშლიდათ მათ ხელს ის გარემოება, რომ დაბის გეოგრაფიულმა მდებარეობამ ნება არ მისცა სხვადასხვა ნაწილებს საჩქაროდ კავშირი აღედგინათ.

ყველაზე უფრო ახლოს დაბაზე—ხიდთან, სუფსის ნაპირად, იდგა სერ. მათითაიშვილის რაზმი. ეს კარგად იცოდენ დაბაში მოკალათებულმა ბალშევიკებმა და მისკენ იყო მიმართული მთელი რისხვა—მთელი დღე დრო გამოშვებით სროლა ისმოდა ტყვიისმფრქვეველებისა და თოფებისა.

ასეთ მდგომარეობაში დაღამდა 9 ნოემბერი. საღამოს რვა საათი იქნებოდა, რომ პოლკოვნიკ ცომაიას მეთაურობით ჩოხატურს მოადგა ოზურგეთიდან მისული სახალხო გვარდიის რაზმი ზარბაზნებით და ჯარისკაცებით...

ალბათ პირველი ულტიმატუმი იყო ზარბაზნის ის ყუმბარები, რომლებიც მთავრობის ჯარმა გადასცა ღამის ორ საათზე დაბაში გათავხედებულ ყაჩაღებს—გვნებდებით თუ არაო.

ზარბაზნის ხმაზე ყაჩაღების პასუხი იყო: ღამის სიბნელეში გაპარვა. მათ იპოვეს ის ადგილი, რომლის გამაგრება დღისით ვერ მოესწრო სახალხო გვარდიას და იქ „გაძვრენ“.

ამის შემდეგ, ნაშუაღამევის 4 საათზე, მცირე ხნის სროლა იმის ნიშანი იყო, რომ მთავრობის ჯარი დაბაში შევიდა...

საით წავიდნენ ყაჩაღი ბალშევიკები? ყოველ შემთხვევაში, არა იქით, საიდანაც მოვიდენ. ისინი ერთი მიმართულებით სოფლებსა და ტყეს მოედვენ. მათ დაედევნა სახალხო გვარდია, მილიცია, დილიდანვე გაჩაღდა სროლა...

დილიდანვე იწყეს დენა ჩოხატაურში შეიარაღებულმა რაზმებმა, უიარაღო ხალხმა, მოვიდა აგრეთვე სამტრედიიდან რაზმით ვალ. გოგუაძე.

რა უნდოდათ ამით ეთქვათ ყაჩაღებს? განა მათ არ იცოდენ, რომ სამსონ ჰანიშვილის „დეკრეტით“, პაიჭაძე-ძნელაძისა და სხვა „ხუნხუზების“ თოფებით მთავრობის ზარბაზნებს ვერ გაუმაგრდებოდენ?

ბალშევიკთა ხელმძღვანელებმა ეს კარგათ იცოდენ, მაგრამ რა დაეხარჯა მათ? რაში ენაღვლებათ მათ ქვაბღელი, ერკეთელი გინდ სხვა სოფლის მცხოვრებნი, მათი სისხლი და ხორცი?

სამაგიეროთ, ვალი მოიხადეს საბჭოთა რუსეთის წინაშე. სახარჯოთ მიღებული ფულების ერთი საბუთთაგ ნი დაწერეს მათ ჩოხატაურში 9 ნოემბერს. ეს საბუთი შემდეგია: ჩოხატაური ორ დაოთხი საათის განმავლობაში რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ნაწილი იყო!.

ბალშევიკების ასეთი ზრახვანი დილით სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსულმა ჩვენი მთავრობის მომხრე ხალხმა აღნიშნა და, ჩვენი აზრით, სწორეთ ამაშია ბალშევიზმის დამარცხების, მისი უნიადაგობის მიზეზიც.

ალსანიშნავია ისიც, თუ როგორ შეხვდა ხალხი პოლ. ცომაიას მოთხოვნას—რომ უნებართვოთ იარაღი არავინ ატაროს, რომ სოფელმა გასცეს მთავრობის მოწინააღმდეგე პირები, რომ შეადგინონ მოწინავე პირების ხელმძღვანელობით ყაჩაღებისაგან დამცველი რაზმები და სხვა. და რომ მთავრობის მოწინააღმდეგე პირები დღეიდან მთავრობისავე ბრძანებით, დანაშაულის მიხედვით, გასამართლებული იქნებიან სამხედრო საველე სასამართლოების მიერ ადგილობრივათ.

მოისმინა რა შეკრებილმა ხალხმა ასეთი განცხადება, ასე უპასუხა პოლ. ცომაიას: დროზე რომ მიგვეღო ამ გვარი ზომები, არც ეს უბედურება დაგვატყდებოდა თავსო.

და განა მართალი არ არის ხალხი, როცა ამბობს, რომ დასასჯელია ქურდთან ერთად ის სახლის პატრონი, რომელმაც სახლის კარები მაგრათ არ ჩაკეტა და ამით ქურდს საშუალება მისცა ის გაექურდაო?!..

ორი.

## ს.-დ. პარტიაში

ჭიათურა. 5 ოქტომბერს შესდგა ჭიათურის კომიტეტის და ჭიათურა საჩხერის რაიონის კოლექტივების წარმომადგენლების კრება. დღის წესრიგში იყო 1) მოხსენებები კოლექტივებიდან, 2) წვრილი ერთეულების არჩევნები. როგორც გამოირკვა პირველ მოხსენებიდან, შეძლებისადაგვარად მუშაობენ კოლექტივები. ყველა სოფლებში საარჩევნო კომისიები შემდგარია (წვრილი ერთეულების), მხოლოდ საჭიროა საერთო ხელმძღვანელი მუდმივი მომუშავე. ზოგიერთ ადგილებში არის ყაჩაღობა, ამისათვის ითხოვენ იარაღს მოწინავე ამხანაგები, მაგრამ კომიტეტმა დაადგინა, რომ, სადაც ასეთი ყაჩაღობა ხდება, იქაურმა ამხანაგებმა მიმართონ კომისარს, რომელიც გამოითხოვს ნებართვას ერობისაგან იარაღისას. წვრილი ერთეულების არჩევნების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ანთელიძე. შემდეგ კრებას შეაქვს შესწორება ჭიათურის სათემო (წვრილი ერთეულების) ხმოსანთა სიაში, ამავე დღეს საღამოს მოხდა ჭიათურის კომიტეტის სხდომა ვ. წერეთლის განცხადების შესახებ, რის შესახებაც კომიტეტმა დაადგინა ეს საქმე გადაეცეს სამედიატორო სასამართლოს.

მდივანი მ. დობორჯგინიძე.

—

ნავთლუღი. 22 ოქტომბერს შესდგა კრება მე 7 დე რაიონულ კოლექტივის წევრებისა. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) ტფილისის კომიტეტის მოხსენება. 2) სანაინის კოლექტივის წევრი. 3) კოლექტივის სხდომის დღის გამოცვლა. 4) მოხსენება კულტურული კომისიის. ტფილისის კომიტეტისაგან მოხსენებას აკეთებს ევტ. ლორია. ის დაწვრილებით აცნობს კრებას კომიტეტში გარჩეულ კითხვებს, მოხსენება მიღებულ იქნა. კოლექტივი ადგენს, რადგანაც ამხ. ნონიტაშვილი სისტემატიურათ არ ესწრება კრებებს, იგი გადაყენებულ იქნას კოლექტივის წევრობიდან და მის მაგივრათ მოიწვიონ მორიგი კანდიდატი. კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომის დღეთ დაინიშნა კვირა დილის 9 საათი. მოისმინა რა კრებამ კულტურული კომისიის მოხსენება, რომელსაც დავალებული ჰქონდა კოლექტივის სასარგებლოთ წარმოდგენის მოწყობა, დაადგინა დაევალოს კომისიას დადგას წარმოდგენა კოლექტივის სასარგებლოთ 1 ნოემბერს.

მდივანი.

—

დ აბაშა. 7 ნოემბერს შესდგა დაბისა და რკინის გზის სოც. დემ. პარტიის წევრთა შეერთებული საზოგადო კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1. მოხსენება რაიონულ კოლექტივიდან, 2. მოხსენება ძველი (დაბის) კოლექტივისა თავის მუშაობის შესახებ, 3. დაბის და რკინის გზის ორგანიზაციების შეერთება ერთ კოლექტივში, 4. დაბის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ჯგუფის რეორგანიზაცია, 5. კლუბის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 6. სამაზრო პარტიულ ყრილობაზე წარმომადგენლის არჩევა, 7. ახალი წევრების მიღება.

მოხსენება რაიონულ კოლექტივიდან მოწონებულ იქნა და მით კრება მეტათ კმაყოფილი დარჩა. დაბის ორგ. ხელმძღვანელის სახელით მოხსენება გააკეთა დ. გოგიავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაბის ორგანიზაციის მუშაობას ბევრი დაბრკოლებები გადაელობა, რამაც ძლიერ შეუშალა ხელი მუშაობის ნაყოფიერებას. კრებამ ეს ცნობად მიიღო.

რომ მუშაობა თავის დონეზე დად-

გეს და უფრო ნაყოფიერი გამოდგეს, დაადგინეს დაბისა და რკ. გზის ორგ. შეერთება ერთ კოლექტივში.

დაბის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ჯგუფში არჩეულ იქნენ: არ. ჰანტურაია, დ. გოგიავა, ნ. მაშავა, ე. მხეიძე და ოლია ჩოჩია. კანდიდატებათ: ბ. ჯალაღანია და მ. ქვანია.

კლუბის გამგეობაში ამოირჩიეს ნ. მაშავა, დ, გოგიავა, ვლად. ფალავა, პ. ჯანელიძე და ნ. ცომაია. კანდიდატებათ: იას. გოგავა და ლ. ჭუმბურიძე. სარევიზიო კომისიაში: ირ. ქვანია, შურა ნადარეიშვილი და ნ. გვაზავა. კანდიდატათ: ს. კაჭარავა. სამაზრო პარტიულ ყრილობაზე წარმომადგენლათ აირჩიეს ე. მხეიძე. დაადგინეს: მიიღონ ახალი საიმედო წევრები ორგანიზაციაში.

იმავ საღამოს მოხდა არჩეულ დაბის ორგ. ხელმძღვანელ ჯგუფის და კლუბის გამგეობის სხდომები ცალცალკე, პრეზიდიუმის ასარჩევათ. პირველში აირჩიეს: თავმჯდომარე არ. ჰანტურაია, თავმჯდომარის ამხანაგათ დ. გოგიავა, მდივნათ ე. მხეიძე და ხაზინადრათ ნ. მაშავა. მეორეში—თავმჯდომარეთ ვლ. ფალავა, მდივნათ დ. გოგიავა, ხაზინადრათ ნ. მაშავა. ე—ნი.

## სახ. გვარდიის შორის

ფოთი. 4 ნოემბერს, ადგილობრივ პოლიტიკურ კლუბის დარბაზში, მოხდა ფოთის გვარდიელთა საერთო კრება; დღის წეს რიგში იყო ორი კითხვა: ახალი შტაბის და სარევიზიო კომისიის არჩევა. კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქმნა დამფ. კრების წევრი ამხანაგი ვასო ნოდია, მდივნათ სილ. ბასილაია. სანამ კრება დღის წეს-რიგის განხილვას შეუდგებოდა, ყოფილი შტაბის თავმჯდომარე ამხ. პაიჭაძე მოხსენებას უკეთებს კრებას შტაბის წარსული მოღვაწეობის შესახებ, რასაც კრება იწონებს და მადლობას უცხადებს ძველ შემადგენლობას ნაყოფიერი მუშაობისათვის. შემდეგ კრება გადადის ახალი შტაბის წევრების არჩევნებზე. წამოყენებულ შვიდ კანდიდატებიდან, კრება ერთხმათ ირჩევს ხუთ პირს: ვასო შარაშიძეს, აპოლონ ბარამიძეს, ვალიკო მალანიას, სევასტი წულაიას და სილიბისტრო ბასილაიას; შემდეგ დასახელებულ იქნა კანდიდატები სარევიზიო კომისიაში. ცხრა კანდიდატებიდან კომისიაში არჩეულ იქნა სამი: არისტარხო სამსონაძე, გიორგი (ჭოდო) ლოლუა და შალვა გოგიჩაიშვილი; მათ კანდიდატებათ პანტ. ვასაძე და პლატ. ცინცაძე. დასასრულ კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ფოთის სახალხო გვარდიის კრება, მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიის უზენაეს ნების გამომხატველს დამფუძნებელ კრებას, ხალხის ნდობით აღჭურვილ რევოლიუციის და მის მონაპოვართა ერთგულ დარაჯს—მთავრობის და შეიარაღებული დემოკრატიის მებაირახტრეს მთავარ შტაბს. უსურვებს მათ ნაყოფიერ მუშაობას დემოკრატიის საკეთილდღეოთ, აღუთქვამს, რომ ფოთელი გვარდიელები, როგორც დღემდე, ისე მომავალშიაც იარაღით ხელში თავგანწირვით იბრძოლებენ იმ დიადი მიზნებისათვის, რომელსაც ემსახურებიან დემოკრატიის სიამაყე ხელმძღვანელნი".

მდივანი ს. ბ—ლია.

## მუშათა შორის

ს. სანაინი. 4 ნოემბერს შესდგა საერთო კრება სანაინის მუშა მოსამსახურეებისა. დღის წესრიგში იყო მოხსენება ამხ. ცირეკიძის (საქართ. სახ. რკ. გზების მეორე დელეგატთა ყრილობის წევრის). მომხსენებელმა გააცნო კრებას რკინის გზების დელეგატთა ყრილობის მუშაობა. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომლებზედაც ამხ. ცირეკიძემ დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება რკინის გზების მეორე ყრილობის დელეგატთა წევრისა ამხ. ბიქტორ ცირეკიძისა, სანაინის მუშა-მოსამსახურეების მრავალ რიცხოვანი კრება, სავსებით იწონებს ყრილობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ადგენს: „კრება სრულიად კმაყოფილია მოხსენებით და იმედს გამოსთქვამს, რომ ცენტრალური პროფესიონალური კავშირის წევრნი ყოველივე ღონეს იღონებს მუშათა ინტერესების დაცვაში და მათი ცხოვრების გაუმჯობესებაში; აგრეთვე დიდ ყურადღებას მიაქცევენ ნეიტრალური ზონის მოსამსახურეებს, რომლებიც იმყოფებიან აუტანელ მდგომარეობაში, როგორც სურსათის, ისე სხვა დასხვა საკითხების მხრივ". დასასრულს შემოვიდა განცხადება მემანქანე ამხან. თავაძისაგან, რომ ქურდები, რომლებიც დაჭერილი იყვნენ მოსამსახურეების გაძარცვისათვის, გაუშვიათ- საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამსახურეებს არ აქვთ გარანტია, რომ ძარცვა ჟლეტა კიდევ არ განმეორდეს.

ხაზანაძე.

—

ქ. ბორჯომი. აქ ამ ჟამად ბლომათ არიან უმუშევრები და აქაც არ არსებობდა ისეთი ორგანიზაცია, რომლის მოვალეობაც იქნებოდა უმუშევართათვის საქმის გამონახვა. მხოლოდ ამა წლის 1 სექტემბერს, ქ. ბორჯომის თვითმართველობის ხმოსანთა საერთო კრებაზედ სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ მოითხოვა შრომის ბირჟის დაარსება, რაც სხვა პარტიის ფრაქციებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს. ამ სხდომაზედ აირჩიეს შრომის ბირჟის თავმჯდომარე და მისი ამხანაგი. 13 სექტემბრიდან შრომის ბირჟა მოეწყო პარიტეტულ ნიადაგზედ; ორივე მოწინააღმდეგე მხარეების წარმომადგენელნი არიან თანასწორათ ბირჟის წევრებათ. უნდა ითქვას, რომ ამ ცოტა ხნის განმავლობაშიაც შრომის ბირჟამ დიდი დახმარება გაუწია მუშათა კლასს—სამუშაოს აღმოჩენით და მეორე მხრივაც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კონფლიქტებს მიღების მხრივ არ აქვს ალაგი.

მხოლოდ არის ერთი პრინციპიალური საკითხი მოსაწესრიგებელი. ეს გახლავთ ზედმეტი სამუშაო. საათების მუშაობა წარმოებაში და მეორეს მხრით ერთი და იგივე პირი ორ დაწესებულებაში მუშაობს ხშირათ იმ დროს, კი როდესაც იმავე პროფესიის მქონე უადგილოთ არის. ყოვლად დაუშვებელია ეს. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და დროზედ გამოასწორონ შეცდომები. ამით საშუალება მიეცემა შრომის ბირჟას ნორმალურად და წესიერად და ჩქარა აღმოუჩინოს სამუშაო უმუშევრებს.

ვ. მატრონეხშვილი.

## პროვინცია

ძირულა. აქ არის რკ. გზის სადგური, ქარხანა, ფოსტა-ტელეგრაფი, ბაზარი და სხვა. ამ საზოგადოების მცხოვრებთა გარდა, ამ ცენტრთან მჭიდროთ არის დაკავშირებული ამაშუკეთის, ხუნევის და ბევრი სხვა საზოგადოებები. ამ საზოგადოების მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით იქნება 1200 კომლამდე. ამ 2 წლის წინათ, ერთი ჯგუფის წყალობით, ამ საზოგადოებას ჩამოაცალეს სოფ. ლაშე და ღვერკი. მაგრამ როდესაც დაისვა კითხვა თემების მოწყობის შესახებ, სამაზრო ერობის გამგეობა ხელმძღვანელობდა რა სესიის დადგენილებით, შეუერთა ეს სოფლები ისევ ძირულას და შეადგინა ძველი საზოგადოების ფარგლებში ძლიერი თემი, რომელიც შესძლებდა გამართლებინა ის იმედები, რომელსაც ამყარებს მასზედ მშრომელი ხალხი. აი, ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა დემოკრატიული ერობა, მაგრამ ზოგიერთ ვაჟბატონებმა ამას დაუპირდაპირეს ნგრევის და დაქუცმაცების საძაგელი თესლი და მოითხოვეს მასთან, ლაშეს და ღვერკის „დამოუკიდებლობა". აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის მებაირახტრებათ გამოდიან მჭედლიძე და მღ. კ. ლამბაშიძე. ამ ვაჟბატონებს აყვენ ზოგი ჩვენი ამხანაგებიც, ერობის სამაზრო სესიამ მოიწონა გამგეობის დადგენილება, მაგრამ მაინც აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა ადგილობრივ ხელმეორეთ საქმის გამორკვევა, კომისია იყო ლაშე ღვერკში, სადაც მოწვეული იყო ყრილობა, მაგრამ ასეთი კარდინალური საკითხი გადაწყდა, არა ფარული ხმის მიცემით არამედ ორიოდე მყვირალა პირების ახმაურებით. მაჭარულაში ესეც არ ყოფილა. კომისიას ეხლნენ კომისარი და მღვდელი ლამბაშიძე ადგილების დასათვალიერებლათ, ხალხის მხრით ალბათ საკმაოთ იცნეს „ოქმი", რომელიც ბ. კ. ლამბაშიძე დაათრევდა სოფლებში თავის ამალით. კომისიის ოფიციალური დადგენილება ჯერ არ ვიცით, მაგრამ ზოგი კომისიის წევრების კერძო ლაპარაკიდან ირკვევა, რომ ისინი ფიქრობენ 3 ნაწილათ დაჰყონ ეს საზოგადოება. ეს იმ დროს, როდესაც, ადრე წარმოშობილი თემის წინაშე ცხოვრების აუცილებლობამ დასვა კითხვა შეერთებაზედ (მაგ. სენაკის მაზრა). ჩვენი კომისიის წევრები მაინც გვეუბნებიან, „დეე შინჯონო" და ამით ადასტურებენ ამ უმადური ჯგუფის დამღუპველ მოქმედებას. ჩვენ განვიცდით საშინელ მოუსავლობას, ხალხს მოელის დიდი გაჭირვება და საჭიროა არა ნგრევა, არამედ არსებულის განახლება გაძლიერება და ეხლავე ზომების მიღება, საერთო ძალით ამ საზოგადოებრივი ტკივილების შესამსუბუქებლათ ის დაქუცმაცება და უნაყოფო ხარჯების გადიდება, დიდი დანაშაულია.

ამას უნდა ყურადღება მიაქციოს მცხოვრებთა ფხიზელმა ნაწილმა და აღიმაღლოს ხმა ასეთ გულუბრყვილო ნაბიჯების წინააღმდეგ.

ა—ოხი.

—

ახალ-სენაკი. სენაკის სამაზრო ერობის სახალხო განათლების გამგე ლადი გოგუა, რომელიც გამგზავრებული იყო მაზრაში სასწავლებლების სარევიზიოდ, დაასრულა თავისი მუშაობა და მოხსენება წარუდგინა ერობის გამგეობას. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, მას უკანასკნელს 18 დღეში დაუთვალიერებია 36 სკოლა, სადაც ყოფილა 80 მასწავლებლებთან 2819 მოწაფე ორთავე სქესისა; 4 სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე კარგათ ყოფილა დაყენებული.

საერობო გამგეობამ, ტყეთა გამგისა და ტყეთა დარაჯების მიერ ჩადენილ ბოროტ მოქმედებების გამოსარკვევათ დაადგინა დაინიშნოს საგანგებო კომისია, რომლის შედეგი ეცნობება აგრარულ განყოფილებას.

ქალაქის (სენაკის) სასაკლაო შენობის აშენება უკვე დამთავრდა, რომელიც დაუჯდა ქალაქს 30 ათას მ.

ქალაქის საზღვრების გამიჯვნა დანიშნული იყო ათი ნოემბრისათვის, მაგრამ გადაიდო, რადგან დანიშნულ დროისთვის არ მოვიდა მიწათ მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი იურისტ-კონსულტი ბ. კაპანაძე.

ქალაქის გამგეობა ამ დროში მოელის თფილისიდან ორ ვაგონ პურის ფქვილს, რომელიც გირ. 5 მან. გაიყიდება. ქალაქის გამგეობა შეუდგა ხიდეებისა და ქუჩების შეკეთებას. განათების საქმე ქალაქში გვარიანათ ეწყობა; ნაცვლად 8 გაზ. ფარნისა დღეს ქალაქის ქუჩებს ანათებს 17 ფანარი.

გაიგეს რა კერძო ვაჭრებმა, რომ ერობასა და ქალაქს გამოელია ნავთი, გირვანქა გახადეს 8 მან. ამის გამო ქალაქის თვითმართველობის გამგეობამ ნიხრზე ზედმეტ ფასებში გაყიდვის გამო ბევრი მათგანი დააჯარიმა და ბევრიც მისცა პასუხისგებაში. კ—ო

## თეატრი და ხელოვნება

ოთხშაბათს, 12 ნოემბერს, არტისტიულ თეატრის დარბაზში, გაიმართა პირველი წარმოდგენა ქართულ დრამატიულ სტუდიისა. წარმოდგენილ იქნა როსტანის „რომანტიკოსები" და ჰაუპტმანის „ჰანელე". ორივე პიესების ავტორნი ცნობილნი არიან და ეს პიესებიც არა ერთხელ დადგმულა, როგორც უცხო ისე ქართულ სცენაზე. და ამისათვის ამ პიესების შინაარსის და ღირსნაკლოვანების გადმოცემას არ შევუდგებით. ჩვენი მიზანია, რამდენათაც კი შეიძლება სახელდახელოთ დაწერილ საგაზეთო რეცენზიაში, შევეხოთ სტუდიის მუშაობას. ოთხშაბათის წარმოდგენამ ნათლად დაგვანახვა, თუ რა თვალსაჩინო ნაბიჯი გადაუდგავს სტუდიას შარშანდელს აქეთ. თუ პიესა „სარწმუნოების" დადგმით მსმენელნი ვერ დაკმაყოფილდენ ვერც ხეირიანათ პიესის ეპოქასთან შეფარდებულ დეკორაციებით და ვერც მასიურ სცენებით „ჰანელე" და „რომანტიკოსნი" სტუდიის მტრებსაც კი დაარწმუნებდენ მის უნარიანობაში. მართალი არის როსტანის „რომანტიკოსები," გაცილებით მოიგებდა რომ იგი ახალ დეკორაციებით დაედგათ, მაგრამ ეს ხომ რეჟისსორ მ. ქორელის ბრალი არ არის. ამ სიძვირეში ახალი დეკორაციების დახატვა ძლიერ საძნელოა. პიესაში მონაწილეთ შეგნებულ შეთვისებულ ჰქონდათ როლები და მთლიან ანსამბლს არვინ არღვევდა. აღსანიშნავია, რომ ლექსს კარგად კითხულობდენ, რაც ჩვენი სცენისათვის უცხო ხილია. მთლიან შთაბეჭდილებას არღვევდა ის გარემოება, რომ სცენას დროზე ვერ აბნელებდენ, დაგვიანებით ანათებდენ და ამითი ილიუზია იკარგებოდა. პირველი წარმოდგენა სტუდიის ღირსია ქების, მაგრამ სრულიად მიუღებელია სტუდიის მიერ სეზონის წარმოება. თუ სტუდიის მოწაფეებს მოუხდათ ხშირათ თამაში ფართო საზოგადოების წინაშე—ამით დაწყებულ საქმეს ძლიერ ევნება. ჯერ კიდევ ბევრი შრომა და მომზადებაა საჭირო, რომ სტუდიამ დამთავრებული გაწვრთნილი ახალი მსახიობები მოუმზადოს ჩვენს სცენას. ხშირი წარმოდგენები მხოლოდ ხელს შეუშლის. იმედია კოოპერატივთა კავშირი, რომელმაც თავის თავზედ მიიღო სტუდიის ხარჯები—ამ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას და არ დაუცდენს სტუდიას სწორ გზას. № 74.

## წერ. რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით მოვათავსო თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი: ამას წინათ მე სამედიატორო სასამართლოში გამოვიწვიე ბესარიონ დოლიძე. დასახელებულ იქნა ორივე მხრიდან მედიატორები, საქმე თავმჯდომარეს არჩევაზე მიდგა. ბეს. დოლიძეს მედიატორი დაჟინებით ასახელებდა თავმჯდომარის ადგილზე ბ. დოლიძის მემკვიდრე ბიძაშვილს (ბ. დოლიძეს მედიატორეც მისი ბიძაშვილია), ჩემმა მედიატორმა თავმჯდომარეს კანდიდატურა უარჰყო და შეთანხმება არ მოხდა და მედიატორებმაც უარი განაცხადეს საქმის გარჩევაზე. ბ. დოლიძე კი გაზ. „ერთობა"-ს № 257-ში ხელმეორეთ მომაგონებს ამ საქმეს, და ათი დღის ვადასაც მიდებს და თუ ამ ხნის განმავლობაში არ მოვიწვიე ხელმეორედ მედიატორები—ღირსი სახელის მონათვლითაც კი მპირდება. მოვაგონებ დოლიძეს, რომ მე ვცხოვრობ სოფლად ჩემი მედიატორენიც სოფლად არიან და მათი თფილისში ორ სამჯერ უბრალოთ ჩამოყვანა ჩემთვის შეუძლებელია, რის გამოც გადავწყვიტე ჩვენი საქმე გადაეცეს სასამართლოს.

ზაქარია ფიფაიშვილი

## ღია წერილი

ხკრის სახელმწიფო მამულის გამგის ყოფილ თანაშემწეს ნ. ს. ონიკაშვილს.

თქვენი წერილის საპასუხოთ 4 ამ ნოემბრის თარიღით გაცნობებთ: მე, რასაკვირველია, მზათა ვარ გამოგყვეთ სამედიატორო სასამართლოში, რომ კი დევ ერთხელ დაგიმტკიცოთ ის, რასაც ვწერდი მიწათ მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო მამულთა გამგეს ბ გედევანიშვილს ჩემს მოხსენებაში № 230, 14 ოქტომბრის თარიღით, და დავძენ, რომ თქვენ ხართ ინტრიგანი. მეტი თუ არა. მე არ შემეძლო თქვენი დატოვება სამსახურში. მას შემდეგ მაინც, რაც ჯოხით სცემით ოთხ 17—20 წლიან მუშა ქალებს. თქვენი მოხუცებულება თუ არა, მე თქვენ პასუხისგებაში უნდა მიმეცეთ, რომ უფრო ღრმათ იგრძნოთ, რომ თქვენ „მემამულეთა სახელმწიფოში" არ ხართ, არამედ დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

თქვენი მოხსენების ასასრულებლათ მეც დღესვე ვთხოვ ბ. გედევანიშვილს ჩემ მიერ მიწოდებული ფაქტების გამოძიების დაჩქარებას. (მოხსენება № 251—9 ნოემბერი 1919 წ.).

მხოლოდ სამედიატორო სასამართლო უნდა შესდგეს შემდეგ შეურყეველ საფუძველზე, სხვაფრივ მე თანახმა ვერ ვიქნები, ვინაიდან თქვენთან „ყვირილის" სურვილი არა მაქვს: ყოველიფერი ხარჯი სასამართლოს საწარმოებლათ (მგზავრობა და სხვა) უნდა იკისროს მტყუანმა მხარემ, მანვე უნდა გადაიხადოს გაზ. „ერთობის" სასარგებლოთ ხუთასი მან. და მესამე—განაჩენი უნდა გამოცხადდეს პრესაში. სასამართლო უნდა შესდგეს ადგილობრივათ, ვინაიდან გამოძიება იქნება საჭირო და დროთ კი ერთ ერთი კვირა უქმე დღე, რასაც წინდაწინ დეპეშით მაცნობებთ.

პასუხის მოლოდინში ალ. გამსახურდია.


## განცხადებანი

ი. მ. მაჩაიძის ქალ-ვაჟთა

**გიმნაზიაში**

საანბანო (გამოუცდელათ) მოსამზადებელ და 1 კლასში ბავშვების მიღება გრძელდება. სწავლა ქართულად და რუსულად. სწავლის ფასი წლის დამლევამდე 650 მან. ჩერქეზიშვილის ქუჩა 22. თხოვნების მიღება 9—1 ს.

(2998—2 2)

სახელმწიფო მამული „სკრა"

ნამყენი ხეხილი მაღალი და თესლეულობა

**მოიკითხეთ კატალოგი**

სად. სკრა—გორის მაზრა.

(2906—10—5)

**სამკურნალო**

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ვ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.

ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.

ი. ტერ-ავაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.

ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო.

ი. ტერ-გრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.

ტ. განჯუმოვი 11—12. ქალთა საბებ.

„606" და „914" ყოველ დღე.

რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი ვ. გ. ხანაძე.

((2937—თ.)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914".

(2930—თ.)

ექიმი კ. ტუშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა შ. ბ. [illegible]

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიათება და წამლობა Xს სხივებით, დიდი სოლენოიდი და არსეველი, ტუბერკ ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღებულობს ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. მეჯვრიშვილის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი ნიკოლოზ გახოკიძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზუბალის აფთიაქის ახლოს).

(2795—თ.)

ქალ. ხამტრედიაში

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.

შინაგანი სნეულებიანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. მე-2 ე სახლი ანდრეევის (№ 74, ბინა № 1) და ვაგზლის ქუჩების კუთხიდან. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი არუთინოვი.

დაიწყო ავათმყოფების მიღება. დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. საღამოს 5—6 ნახ. საათ. ვენერიული სნეულებათა: სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები „606" და „914" შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა 3. (თ. 2816)

ექიმი ივ. ბოკერია

იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საბებიო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

ექიმი დ. ვ. [illegible]

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებ... ავათმყოფთ დილით 8—9 ს.-დის საღამოთი ... № 64 ... 14—60. (თ. 2...)

ექიმი ა. [illegible]

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივ გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით ექიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაეების ავათმყოფობათ. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № ... გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ოზურგეთში

ექიმი ს. ვ. აბაშიძე

მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სნეულ... ფილტვების, გულის, კუჭის და წ... ბის. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინი..." და „ფოსფაციდიდ", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" „606" შეშხაპუნებით. კ. სიამაიშვილის სახლში.

ექიმი შ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი ... დეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ... განოების სნეულებანი. ავადმყოფ... მიღება ყოველ დღე დილის 8—11 ... საღამოს 5—8 საათამდე. ... მხოლოდ დილით. მისამართი: ... ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძიძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებ... ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6... საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 8 ... ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი რ. შ. შიუკაშვილი-ბაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ... რურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დახმარებ... სიფილისის წამლობა (606—914) დილით 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—...

ექიმი ოთარ რაჟდენის ძე ცინცაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფ... საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.




(ნ. 3—1)

საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა

**არაჩვეულებრივი საერთო კრება**

შესდგება კვირას. 16 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, კავშირის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 139). გასარჩევია ფრიად საჭირო საკითხები.

(3011 1—1) გამგეობა.

ოზურგეთ ს სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს ხმოსანთა

**ყრილობას ოზურგეთში**

22 ნოემბერს, დღის ორ საათზე.

დღის წესრიგი: 1) სანიტარული გადასახადის განხილვა, 2) ხე ტყის მრეწველობის მოსაწყობათ მთავრობისაგან სესხის გამოთხოვა, 3) მოსამსახურეთა შტატი, 4) ხარჯთ აღრიცხვის გარეშე გაწეული ხარჯების დამტკიცება, 5) საექიმო პუნქტების გახსნა და მიმდინარე კითხვები.

ერობის გამგეობა.

(ნ. 2—1)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

**მთავარ სამმართველო**

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით ხუთი ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბებიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან.

(2901—14—4)